1956 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და განკარგულებათა კრებული

СБОРНИК

ПРИКАЗОВ И РАСПОРЯЖЕНИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

7-8

ივლისი აგვისტო

ОБЯЗАТЕЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა
19 თბილისი 56

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 550

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 11 მაისი

თერჯოლის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, ყვარლის და ჩოხატაურის რაიონებში მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ თერჯოლის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, ყვარლის და ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილებები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის საქმეს.

ორჯონიკიძის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების აპარატში არაა გამოყოფილი ინსპექტორი, რომელსაც დავალებული ჰქონდეს პატრონატზე ხელმძღვანელობა.

არ სრულდება პატრონატზე აყვანილ ბავშვთა და მოზარდთა წლიური გეგმა — თერჯოლის რაიონის განათლების განყოფილებამ 1955 წლის გეგმა შეასრულა 30%-ით, სამტრედიის რაიონმა — 36%-ით, ყვარლის რაიონმა — 30%-ით, ორჯონიკიძის რაიონმა — 33,3%-ით და ჩოხატაურის რაიონმა — 86,6%-ით.

სამტრედიის, ორჯონიკიძის და ყვარლის განათლების განყოფილებებში პატრონირება გაფორმებული არაა არსებული ინსტრუქციის მიხედვით, არ წარმოებს პატრონირებულ ბავშვთა და მოზარდთა საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატური შესწავლა.

ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილების მიერ პატრონირებულ ბავშვებსა და მოზარდებს დახმარება 50 მანეთის რაოდენობით ეძლევათ არა ყოველთვიურად, არამედ ორ თვეში და ზოგ შემთხვევაში 3 თვეში ერთხელ.

თერჯოლის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, ყვარლის და ჩოხატაუ-

საჯარ. ბიბლიო

რის რაიონებში შემოღებული არაა ჟურნალი პატრონირებულ ბავშვთა და მოზარდთა აღსარიცხავად.

ყვარლისა და ჩოხატაურის რაიონის განათლების განყოფილებებში ადგილი აქვს თანხების გაცემას ასაკგადაცილებულ მოზარდებზე.

თერჯოლის, ორჯონიკიძის, სამტრედიის და ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებებში უკანასკნელ წლებში არ ჩატარებულა რაიონის ტერიტორიაზე მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1) დაევალოს თერჯოლის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, ყვარლის და ჩოხატაურის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) სკოლების დირექტორების (გამგეების) საშუალებით შეაგროვონ ცნობები რაიონის ტერიტორიაზე მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვებსა და მოზარდებზე და ა/წ 1 აგვისტომდე გააფორმონ ისინი პატრონატზე, მეურვეობასა და გაშვილებაზე. შესრულება მომახსენონ ა/წ 10 აგვისტომდე;

ბ) მეურვეობა, პატრონირება და გაშვილება გააფორმონ თანახმად არსებული ინსტრუქციისა;

გ) პატრონირებულ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა მოახდინონ არანაკლებ ორისა წლის განმავლობაში;

დ) მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მეურვეობის, პატრონირების და გაშვილების საქმეზე აპარატის მომუშავეთაგან გააპიროვნონ ერთ-ერთი ინსპექტორი;

ე) ბავშვთა და მოზარდთა აღსარიცხავი ჟურნალი აწარმოონ დადგენილი წესის მიხედვით;

ვ) არ დაუშვან ასაკგადაცილებულ მოზარდებზე (14 წლის შესრულების შემდეგ) პატრონატის თანხის გაცემა.

2. საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (უფროსი ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძე) მ/წლის 1 სექტემბრამდე მომახსენოს ამ ბრძანების შესრულების შედეგები.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 11 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჯულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 551

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 11 მაისი

საბავშვო სახლებში 1956 წლის 1 კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ

საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილების მიერ მიმდინარე წლის 1 კვარტალში შემოწმებულია მახარაძის, ჩოხატაურის, ქურთის, ვაშლოვანის. ბათუმის, მახინჯაურის, ონის, კოჯრის № 3, 4, 5, 6 საბავშვო სახლების სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა და ჩატარებულია ამავე საბავშვო სახლებში დოკუმენტური რევიზია. ვაკის, თამარაშენის და სურამის საბავშვო სახლებში ჩატარებულია მოულოდნელი რევიზია.

საბავშვო სახლების მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესების მიუხედავად ზოგიერთ საბავშვო სახლში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა მაინც არ დგას სათანადო სიმაღლეზე; აღსაზრდელთა აკადემიური მოსწრება არადამაკმაყოფილებელია. მაგალითად, ბათუმის საბავშვო სახლის 91 აღსაზრდელიდან 13 ვერ ასწრებს. კოჯრის № 3 საბავშვო სახლის 75 აღსაზრდელიდან 11 აღსაზრდელი ოროსანია. ამ საბავშვო სახლის მარტო მეორე საალმზრდელო ჯგუფის 16 აღსაზრდელიდან ვერ ასწრებს 9 (აღმზრდელი ი. ნადაშვილი).

ბათუმის, მახინჯაურის, ქურთის საბავშვო სახლების აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით, ხოლო ჩოხატაურის, კოჯრის № 4, 6 საბავშვო სახლები არ არიან მომარაგებული თვალსაჩინო ხელსაწყოებით.

მახინჯაურის საბავშვო სახლში ადგილი აქვს აღსაზრდელთა უნებართვოდ წასვლის შემთხვევებს.

ვაშლოვანის საბავშვო სახლში (დირექტორი ა. საგინაშვილი, ექიმი ა. კოპალეიშვილი და ექიმის თანაშემწე მ. იმერლიშვილი) სამედიცინო მომსახურება ჩაშლილია, პროფილაქტიკური ღონისძიებები არ არის ჩატარებული; ღრმა საექიმო შემოწმება, დადგენილ ვადებში არ ტარდება, უკანასკნელ პერიოდში ხშირია აღსაზრდელთა დაავადების შემთხვევები, საბავშვო სახლის მომსახურე პერსონალს არ აქვს სანიტარული წიგნაკები. ექიმი ა. კოპალეიშვილი საბავშვო სახლში იშვიათად ცხადდება.

ვაკის საბავშვო სახლის პირსაბანსა და სასადილოში უსუფთაობაა. ეზო მოუვლელია.

სურამის საბავშვო სახლში (დირექტორი ელ. კორკოტაძე, ექიმი შ. ჯიქია და ექიმის თანაშემწე ა. აბრამიშვილი) უყურადღებოდ არის მიტოვებული აღსაზრდელთა მოვლა-პატრონობის საქმე. აღსაზრდელ ვაჟთა უმრავლესობა ფრჩხილებდაუჭრელი, თმაშეუკრეჭელი და ჭუჭყიანი ტანსაცმლით დადის სკოლაში. საექიმო კონტროლი სუსტადაა განხორციელებული, არაა დაცული სანიტარულ-ჰიგიენური წესები; აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი პირადი ჰიგიენის საგნებით. საბავშვო სახლის ეზო, კარმიდამო და საპირფარეშო ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, საბავშვო სახლის 15 თანამშრომელს არ აქვს სანიტარული წიგნაკი, საბავშვო სახლის ინვენტარი მოუვლელი და ჭუჭყიანია. ადგილი ჰქონდა პროდუქტების გადამალვის შემთხვევას.

მომმარაგებელი ორგანიზაციები (კურორტვაჭრობა, ცეკავშირი, საქვაჭრობა და სხვა) ვერ აწვდიან საბავშვო სახლებს დადგენილი ნორმით და ასორტიმენტის მიხედვით კვების პროდუქტებს. ასე მაგ., კოჯრის № 3 საბავშვო სახლს უნდა მიეღო 34. 327 კგ. სხვადასხვა სახის პროდუქტი, მიიღო 30787 კგ., კოჯრის № 4 საბავშვო სახლს — 68.347 კგ. მიიღო 56.665 კგ. და სხვ, უფრო ცუდი მომარაგება აქვთ იმ საბავშვო სახლებს, რომელთაც ამარაგებს ცეკავშირი (ჩოხატაური, ონი და სხვა).

საბუხჰალტრო დოკუმენტების გაფორმების საქმეს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა კოჯრის № 3, 4, 5, ქუთაისის, ჩოხატაურის და მახინჯაურის საბავშვო სახლებში.

კოჯრის № 4 საბავშვო სახლში არ არის სამეურნეო კომისიის აქტი ამა თუ იმ სამუშაოს შესრულების შესახებ, ზოგჯერ ადგილი აქვს მაღალფასიან ხორცის შეძენას და ანგარიშს არ ახლავს ექიმის

ცნობა ხორცის ვარგისიანობის შესახებ, მივლინების ფურცლები არ არის აღრიცხული. 100 მანეთზე ზევით გაწეულ ხარჯებზე არ არის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, სწორად არ ფორმდება ფულის ჩეკები და სხვა. ამ საბავშვო სახლის დირექტორის [illegible] რადღებობით ისარგებლეს ბოროტმოქმედებმა ბუხჰ. კ. ს. დიადიევმა და საწყობის გამგე ლ. მელიქიანმა და 1956 წ. 1/1-დან-20/IV-მდე ფაქტურების გადასწორების გზით მიითვისეს 36,4 კგ. ერბო, 36 კგ. თევზი, 6,4 კგ. ყველი.

კოჯრის № 3 საბავშვო სახლში პროდუქტების თვიურ ფურცელს ხელს არ აწერენ დირექტორი და ბუხჰალტერი. მენიუ არ არის დახურული. რიგი ანგარიშები არ არის სათანადოდ შემოწმებული, კერძოდ ნაყიდ ხორცს არ ახლავს ექიმის ცნობა, რომ ხმარებისთვის ვარგისია, არ არის სამეურნეო კომისიის აქტი, ანგარიშები არ არის შემოწმებული და სხვა.

ანალოგიური მდგომარეობაა კოჯრის № 5, 6, მახინჯაურის, ბათუმის, ჩოხატაურის და ქუთაისის საბავშვო სახლებში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს საბავშვო სახლების დირექტორებსა და ბუხჰალტრებს უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ ამ ბრძანებაში და ნარკვევ მასალებში დასახელებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია.

2. ვაშლოვანის საბავშვო სახლის დირექტორის ა. საგინაშვილის საკითხი მისი კოლეგიაზე გამოუცხადებლობის გამო გარჩეულ იქნეს ცალკე.

3. სურამის საბავშვო სახლის დირექტორს ე. კორკოტაძეს, საბავშვო სახლის მუშაობაში სერიოზული დარღვევების დაშვებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

4. კოჯრის № 4 საბავშვო სახლის შემოწმების მასალები გადაეგზავნოს საქართველოს კპ თბილისის გარეუბნის რაიკომს მათი თხოვნის თანახმად.

5. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინაშე რათა დაადოს სათანადო სასჯელი ვაშლოვანის საბავშვო სახლის ექიმს ა. კოპალეიშვილს, ექიმის თანაშემწეს მ. იმერლიშვილს, სურამის საბავშვო სახლის ექიმს შ. ჯიქიას და ექიმის თანაშემწეს ა. აბრამიშვილს საბავშვო სახლებში სამედიცინო მომსახურების ჩაშლისათვის.

6. დაევალოს სურამის საბავშვო სახლის დირექტორს განიხილოს საბავშვო სახლის დიასახლის-მეკუჭნავე ლ. ხაჩიძის და მზარეულ ა. ტრუბაჩოვას საკითხი და მიიღოს საჭირო ღონისძიება.

7. დაევალოს საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და ინტერნატების დელ დაწესებულებათა განყოფილების უფროსს ამხ. ვ. ჩინჩალაძეს შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულება ა/წლის მეოთხე კვარტალში და შედეგი მომახსენოს.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წ. 11 მაისის დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 562

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 15 მაისი

აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების განათლების განყოფილებებსა და ამავე რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა გეგეჭკორის რაიონის განათლების განყოფილების გამგის ანგარიშს და აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ზოგიერთი სკოლის მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ ამ რაიონების რიგ სკოლაში მოპოვებულია ერთგვარი წარმატება პოლიტექნიკური სწავლებისათვის მატერიალური ბაზის შექმნის საქმეში: კეთილმოწყობილია დიდი ჭყონის, სერგიეთის, სალხინოს (გეგეჭკორის რაიონი), სუჯუნისა და მარნის (აბაშის რაიონი) საშუალო სკოლების სასწავლო-საცდელი ნაკვეთები. ზოგიერთ სკოლაში მოწყობილია სასწავლო სახელოსნოები.

გეგეჭკორის 1-ლ საშუალო სკოლაში სახელოსნოსათვის გამოყოფილია ერთი ოთახი, შეძენილია ლითონზე სამუშაო იარაღები, სახარატო დაზგა; სერგიეთის საშუალო სკოლას შეფის მიერ გადაეცა „გაზ"-ის მარკის ერთი ავტომანქანა. სკოლას შეძენილი აქვს ერთი სადურგლო დაზგა და ხეზე სამუშაო სხვადასხვა სახის იარაღი.

აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებები დამაკმაყოფილებლად ახორციელებენ სკოლებისადმი ხელმძღვანელობასა და კონტროლს, რის შედეგად ერთგვარი წარმატებებია მოპოვებული ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების საქმეში.

შესწავლილ სკოლებში კარგად მუშაობენ მასწავლებლები; ქართულ ენასა და ლიტერატურაში: ა. მარშანია (სუჯუნის საშ. სკ.), მ. ჭუბაბრია, ე. ჩიქოვანი (აბაშის I საშ. სკ.), ქ. დონდუა (მარნის საშ. სკ), კ. ცანავა (სერგიეთის საშ. სკ.) ლ. ბასილია (სალხინოს საშ-

სკ.), ნ. მასხულია (გეგეჭკორის 1-ლი საშ. სკ.); რუსულ ენასა და ლიტერატურაში ლ. ჩიქოვანი (გეგეჭკორის 1-ლი საშ. სკ.), ბ. გოლოზია (დიდი ჭყონის საშ. სკ.), მ. ჩიქოვანი (აბაშის 1-ლი საშ. სკ.), მ. ნაროუშვილი (მარნის საშ. სკ.); მათემატიკაში: ლ. ხუბუა (მარნის საშ. სკ.); ისტორიაში: ბ. ღვაბერიძე (მარნის საშ. სკ.), ჟ. ცხვიტავა (სუჯუნის საშ. სკ.), მ. მამარდაშვილი (გეგეჭკორის 1-ლი საშ. სკ.); გეოგრაფიაში: ე. კაჭარავა (აბაშის 1-ლი საშ. სკ.) და ვ. შეროზია (სუჯუნის საშ. სკ.).

აღნიშნული მიღწევების მიუხედავად აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება პოლიტექნიკური სწავლება. უმრავლეს სკოლებში არ არის მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები, მანქანათმცოდნეობა და ელექტროტექნიკა თვალსაჩინოების გარეშე ისწავლება. სკოლებს არა აქვს დამხმარე ხელსაწყოები, მასალები და სამუშაო ადგილი ავტოსაქმის სწავლებისათვის. ნაკლები ყურადღება ექცევა ტექნიკური წრეების მუშაობას.

სუჯუნის, სეფიეთის, სალხინოსა და სხვა საშუალო სკოლებში არ არის შექმნილი სათანადო პირობები ფიზიკის სწავლებისათვის: არ არის გამოყოფილი კაბინეტისათვის ცალკე ოთახი. კაბინეტები ვერ უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებას. მასწავლებლები თვალსაჩინოებისათვის ნაკლებად იყენებენ სქემებს, ნახაზებსა და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ქართული ენა და ლიტერატურა სერგიეთისა და პირველი მაისის საშუალო სკოლების VI კლასებში (მასწ. ო. ფაცია და ლ. ფალავა). მასწავლებლები ენის გაკვეთილებს ატარებენ მშრალად, დაკვირვებისა და ყოველგვარი თვალსაჩინოების გარეშე. მოსწავლეები მეტყველებენ კუთხური დიალექტებით, ვერ ახერხებენ აზრის ლოგიკურად გადმოცემას, ზეპირად აქვთ ათვისებული ენის საკითხები, წერით ნამუშევრებში უშვებენ უხეშ ენობრივ შეცდომებს და სხვ.

მეთოდკომისიებისა და ლიტერატურული წრეების მუშაობა ხელს არ უწყობს საგნის სწავლების გაუმჯობესების საქმეს. მეთოდკომისიების გეგმებში შეტანილი ზოგიერთი საკითხი ზოგადია.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება დიდი ჭყონის (მასწ. ი. ჯანაშია, პ. სალუქვაძე), სეფიეთის (მასწ. ს. ნადარაია, ს. ბაღათურია) და სუჯუნის

(მასწ. ს. ჩაჩავა) საშუალო სკოლებში. მოსწავლეებს არ შესწევთ უნარი სწორად გადმოსცენ შესწავლილი ლიტერატურული ტექსტის შინაარსი და შეადგინონ წინადადებები, ძალზე დაბალია მართლწერა-რითი მეტყველების კულტურა. მასწავლებელი პ. სალუქვაძე (დიდი ჭყონი) სუსტად ფლობს რუსულ ენასა და მისი სწავლების მეთოდებს, ზეპირსა და წერით მეტყველებაში უშვებს შეცდომებს, არასწორად ხსნის ცალკეული სიტყვების მნიშვნელობას, ზერელედ ასწორებს და ლიბერალურად აფასებს წერით ნამუშევრებს. ასევე სუსტად ფლობენ რუსულ ენას მ. ბეჭვაია (სალხინოს საშ. სკ.), შ. ჯღარკავა (პირველი მაისის საშ. სკ.) და ს. ჩაჩავა (სუჯუნის საშ. სკოლა), რომელთაც არ შესწევთ უნარი სათანადო სიმაღლეზე დააყენონ რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში.

დიდი ჭყონისა და სეფიეთის საშუალო სკოლების XI კლასების მოსწავლეებმა საკონტროლო წერა ძალზე უწიგნურად შეასრულეს. დამაკმაყოფილებელი შეფასება მხოლოდ სეფიეთის საშუალო სკოლის ერთმა მოსწავლემ მიიღო.

შემოწმებული სკოლების რუსული ენის ბევრი მასწავლებელი სათანადოდ არ მუშაობს წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებაზე და ნამუშევრებს გულდასმით არ ასწორებს. სერგიეთის, დიდი ჭყონის, სეფიეთისა და სუჯუნის საშუალო სკოლების რუსული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი კომისიები სათანადო დახმარებას ვერ უწევენ დამწყებ მასწავლებლებს.

დაბალია მოსწავლეთა მომზადების დონე ალგებრაში სალხინოს საშუალო სკოლის VI (მასწ. ზ. ნაროუშვილი), სერგიეთის საშუალო სკოლის IX (მასწ. ქ. ჭილაია) და პირველი მაისის საშუალო სკოლის X (მასწ. ნ. რატიანი) კლასებში. სერგიეთის საშუალო სკოლის VII კლასის მასწ. პ. სურმავა სათანადოდ არ ემზადება და გაკვეთილებს უხარისხოდ ატარებს. სუჯუნის საშუალო სკოლის VIII კლასის მასწ. გ. ჯალაღანია ნაკლებ ყურადღებას აქცევს გრაფიკების შესწავლას, რის გამოც მოსწავლეებმა არ იციან განტოლებათა სისტემის გრაფიკულად ამოხსნა. დიდი ჭყონის საშუალო სკოლის X — XI კლასების მასწ. შ. თოდუა კლასს არ აბამს მუშაობაში, არ აძლევს მოსწავლეს საშუალებას დასმულ კითხვაზე მოიფიქროს და გააზრებულად უპასუხოს.

სეფიეთისა და მარნის საშუალო სკოლების VII—VIII კლასების მოსწავლეთა მომზადების დონე გეომეტრიაში დაბალია (მასწ. ივ. გეგეშიძე თ. თოფურია, ლ. შენგელია). მასწავლებლები ნაკლებად

ავარჯიშებენ მოსწავლეებს ამოცანების ამოხსნაზე. მასწ. ვ. ბეგ-შიძემ VIII კლასში ჩაატარა საკონტროლო წერა და 29 მოსწავლე-დან შეფასება „2“ მიიღო 28 მოსწავლემ. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს სუჯუნის საშუალო სკოლის X — XI კლასების მოსწავლეებმა (მას. ვ. ნადარაია); მათ არ შესწევთ უმარტივესი სახის ამოცანების ამოხსნის უნარი.

შესწავლილ სკოლებში მათემატიკის მასწავლებლები არ იყენებენ გეომეტრიის სწავლებისას თვალსაჩინოებას და არ ავარჯიშებენ მოსწავლეებს პრაქტიკული სახის ამოცანების ამოხსნაზე.

რიგ სკოლაში საგნობრივი კომისიების მუშაობა არ დგას სასურველ სიმაღლეზე. კომისიებში წაკითხული მოხსენებები ზოგადია.

ზოგიერთი სკოლის მათემატიკის წრის სამუშაო გეგმაში შეტანილია საპროგრამო მასალიდან აღებული თემები ან ისეთი საკითხები, რაც წრის მუშაობას არ შეეფერება.

სუსტად არის დაყენებული ისტორიის სწავლება პირველი მაისის საშუალო სკოლაში (მასწ. ე. ქოიავა).

სეფიეთის საშუალო სკოლა არ არის უზრუნველყოფილი ისტორიის რუკებით და ისტორიის სწავლება ზეპირსიტყვიერად მიმდინარეობს.

არადამაკმაყოფილებელია მოსწავლეთა მომზადება გეოგრაფიაში დიდი ჭყონის საშუალო სკოლაში (მასწ. ი. ერქვანია), სეფიეთის საშუალო სკოლაში (მასწ. თ. ქაჯაია) არაა მოწყობილი გეოგრაფიის მოედანი, არ წარმოებს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სამუშაოების შესრულება. დაბალ მეთოდურ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს პირველი მაისის საშუალო სკოლის VII და აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის V კლასების მასწავლებლები შ. მიქაძე და ტ. კაჭარავა.

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება III მეოთხედში. ბეგეჭკორის რაიონის სალხინოს საშუალო სკოლის IX კლასის 22 მოსწავლიდან ვერ ასწრებს — 11, VI კლასის 25 მოსწავლიდან 8, X კლასის 37 მოსწავლიდან—13; დიდი ჭყონის საშუალო სკოლის VI კლასის 29 მოსწავლიდან — 9, VIII კლასის 48 მოსწავლიდან — 10, X კლასის 48 მოსწავლიდან — 15; აბაშის რაიონის მარნის საშუალო სკოლის IX კლასის 39 მოსწავლიდან — 10, სეფიეთის საშუალო სკოლის V კლასის 15 მოსწავლიდან — 5, VIII კლასის 33 მოსწავლიდან — 9 და ა. შ.

სუსტია სეფიეთის საშუალო სკოლის პიონერული და კომკავში-

რული ორგანიზაციების მუშაობა. რაზმეულისა და რაზმების შეკრებები მოუმზადებლად ტარდება. კომკავშირული ორგანიზაციის კრებებს იშვიათად ესწრება სკოლის ხელმძღვანელობა. კრებებზე მიღებული დადგენილებები ზოგ შემთხვევაში აღემატება პიონერიისა კომკავშირული ორგანიზაციის უფლებებს.

ჯერ კიდევ დიდია არასაპატიო მიზეზით მოსწავლეთა მიერ გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა. მესამე მეოთხედში გეგეჭკორის პირველი საშუალო სკოლის 388 მოსწავლის მიერ გაცდენილი 5372 გაკვეთილიდან არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 1086 გაკვეთილი. სალხინოს საშუალო სკოლის 373 მოსწავლის მიერ გაცდენილი 4785 გაკვეთილიდან არასაპატიო მიზეზითაა გაცდენილი 1837 გაკვეთილი. აბაშის 1-ლი საშუალო სკოლის 336 მოსწავლის მიერ გაცდენილი გაკვეთილიდან არასაპატიო მიზეზითაა გაცდენილი 1837 გაკვეთილი.

ერთგვარი ნაკლოვანებებით ხასიათდება სკოლის წლიური სამუშაო გეგმები. მათში გათვალისწინებული არ არის მანქანათმცოდნეობის, ელექტროტექნიკისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის შემოღებასთან დაკავშირებით ამ საგნებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საკითხები.

რიგ სკოლაში მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ახასიათებს პედაგოგიური საბჭოს მუშაობას. საფუძვლიანად არ იხილება ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგომარეობა.

სათანადო სიმაღლეზე არა დგას შინასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობისადმი. სამი მეოთხედის განძილზე მცირე რაოდენობით აქვს მოსმენილი გაკვეთილები სალხინოს (ე. კვარაცხელია) სერგიეთის (ა. ახალაია), სეფიეთის, (შ. მაკალათია) და პირველი მაისის (ვ. ჯანჯღავა) საშუალო სკოლების დირექტორებს.

რიგ სკოლაში სწორად არ არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი (დიდი ჭყონის, სეფიეთის, მარნის და სუჯუნის საშუალო სკოლები).

ნაკლები ყურადღება ექცევა საკლასო ჟურნალების წარმოების საქმეს. ადგილი აქვს მიმდინარე შეფასების ნიშნების ჟურნალში ჩაუწერლობის შემთხვევებს, არაა ზუსტად დაჯამებული მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების გაცდენები მეოთხედების ბოლოს და სხვ.

აბაშის რაიონის სეფიეთის, მარნის, პირველი მაისისა და აბაშის 1-ლ. საშუალო სკოლებში ადგილი აქვს მცირე ასაკის ბავშვების ჩარიცხვის შემთხვევებს.

აბაშის რაიონის ზოგიერთ სკოლაში ადგილი აქვს I და II კლასებში საგნობრივ სისტემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგ სკოლაში კლასის ხელმძღვანელთა სამუშაო გეგმები ზოგადია, მოუწესრიგებელია მასწავლებელთა და მოსწავლეთა ყოფიერ საქმეები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილებების გამგეებმა (ამხ. პ. ყრუაშვილი და ამხ. აკ. სურმავა):

ა) გაუმჯობესონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტი მასწავლებლების მუშობას, გაუწიონ მათ მეთოდური დახმარება და სასწავლო წლის დასრულებისას, შემოწმების შედეგების მიხედვით გაატარონ საჭირო ღონისძიებები;

ბ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი V — XI კლასების იმ მასწავლებელთა დაუსწრებელ სწავლებაში ჩასაბმელად, რომელთაც არა აქვთ უმაღლესი განათლება;

გ) უზრუნველჰყონ სკოლების მჭიდრო კავშირი შეფ-ორგანიზაციებთან;

დ) პოლიტექნიკური სწავლების საქმეში მასწავლებელთა დახელოვნების მიზნით უზრუნველჰყონ ამ საგნის მასწავლებელთა მივლინება მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე დახელოვნების ინსტიტუტის გეგმის მიხედვით;

ე) ყველა ღონისძიება გაატარონ სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის გაუმჯობესებისათვის. ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ სკოლებს კაბინეტებისათვის ბინის შერჩევის, ხელსაწყო-იარაღებით შევსებისა და კეთილმოწყობის საქმეში;

ვ) ზუსტი კონტროლი დააწესონ პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეებზე, არ დაუშვან მცირეწლოვანთა ჩარიცხვა;

ზ) არ დაუშვან ცალკეულ საგნებში საათების დაქუცმაცების შემთხვევები და I და II კლასებში საგნობრივი სწავლების პრაქტიკა.

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) სისტემატურად იზრუნონ სახელოსნოების, კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობა — შევსებაზე; საქმიანი კავშირი დაამყარონ შეფ-ორგანიზაციებთან და აქტიურად ჩააბან ისინი პოლიტექნი-

კური სწავლებისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შექმნის საქმეში;

ბ) პოლიტექნიკური სწავლების წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) წესრიგში მოიყვანონ მასწავლებელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ცალკეულ საგნებში შესწავლილი მასალის განმეორებასა და სისტემაში მოყვანას.

ე) სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი არასათანადო ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს სეფიეთის საშუალო სკოლის დირექტორს შ. მაკალათიას.

3. საგნის სწავლების არასათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის და მოუმზადებელი გაკვეთილების ჩატარებისათვის მიეთითოთ მათემატიკის მასწავლებლებს: ივ. გეგეშიძეს და თ. თოფურიას (სეფიეთის საშ. სკ.), პ. სურმავას (სერგიეთის საშ. სკ.), შ. თოდუას (დიდი ჭყონის საშ. სკ.), ვ. ნადარაიას (სუჯუნის საშ. სკ.);

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს: ს. ბაღათურიას და ს. ნადარაიას (სეფიეთის საშ. სკ.).

4. გეგეჭკორისა და აბაშის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა წარმოადგინონ სათანადო პროექტი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების პ. სულაქველიძის (დიდი ჭყონის საშ. სკ.), ს. ჩაჩავას (სუჯუნის საშ. სკ.), შ. ჯღარკავას (პირველი მაისის საშ. სკ.) და მ. ბეჭვაიას (სალხინოს საშ. სკ.) მომავალი სასწავლო წლიდან დაბალი კლასების მასწავლებლებად ჩამოყენების შესახებ, არსებული წესის ზუსტად დაცვით.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 11 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ПРИКАЗ № 656

ПО МИНИСТЕРСТВУ ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

от 5 июня 1956 г.

Заслушав доклад зам. зав. ОНО Юго-Осетинской А/О тов. Н. Тутарашвили о работе школ и органов народного образования в 1955—56 учебном году, отмечаю, что в текущем учебном году улучшилась учебно-воспитательная работа и укрепилась материальная база некоторых школ области для проведения политехнического обучения.

Многие директора, заведующие учебной частью и преподаватели всемерно борются за улучшение постановки учебно-воспитательной работы школы, за внедрение сознательной дисциплины среди учащихся. По сравнению с предыдущими годами, учащиеся лучше обеспечены учебниками и учебными пособиями, улучшена постановка преподавания отдельных дисциплин. Улучшилась работа совета по народному образованию при Обл. ОНО.

Несмотря на это в работе школ, учителей и местных органов народного образования имеются серьезные недостатки. Не все школы укомплектованы квалифицированными педагогическими кадрами. Из 1981 преподавателя школ области высшее образование имеют только 914.

В результате плохой постановки преподавания отдельных предметов в некоторых школах низка академическая успеваемость учащихся. Так например, в Кешельтской восьмилетней школе Джавского района успевает только 57% (директор М. Кочиев). Подобное положение имеет место в Згудерской (директор С. Цховребов), Китриульской (директор Н. Багиев), Гариставской (директор Сиукаев) восьмилетних школах. Всего по автономной области из 20155 аттестован-

ных учащихся в конце третьей четверти успевало только 15368 (77%), а из 1963 второгодников успевало 1519 (77,4%).

В некоторых школах слабо работают преподаватели русского языка и литературы. Неудовлетворительные знания проявили учащиеся тех классов, где работают преподаватели Ти иева М., Бибилов Г. (Балтинская русская средняя школа), Кусраева В. (Громская русская средняя школа), Бибилов С., Русишвили Е., Бедианидзе А. (Кехвская средняя школа), Харебов В. (Ередвская средняя школа), Цховребова Ф., Демуров И. (Ларгвисская средняя школа). Бедна речь учащихся, они не понимают смысла некоторых слов и выражений, затрудняются в самостоятельном изложении мысли, отвечают лишь на поставленные вопросы. Слабые знания обнаруживают по грамматике, не знают частей речи, не имеют понятия о подлежащем и сказуемом, не знают склонений. Преподаватели мало времени уделяют объяснению и закреплению нового материала, не всегда исправляют неправильные ответы учащихся, низка культура письменной речи; преподаватели не ведут работу над ошибками, зачастую ими не исправляются ошибки, допущенные учащимися.

Не стоит на должной высоте преподавание математики. Слабо работают преподаватели Манашеров Д. (Ларгвисская средняя школа), Келехсашвили Г. (Ередвская средняя школа), Табуева И. (Громская средняя школа) и др. Крайне слабо усвоен программный материал по арифметике, учащимися V—VI классов Громской (Сталинирский район) и Балтинской (Знаурский район) русских средних школ. Значительная часть учащихся этих классов из-за слабого знания русского языка не умеет писать шести—семизначные числа. Часть учителей невнимательно исправляют контрольные работы учащихся и неправильно оценивают их (Манашеров Д. —Ларгвисская средняя школа, Тер-Семенова Ж. Ленингорская средняя школа).

Плохо преподается физика в XI классе Ленингорской средней школы (преподаватель Г. Ахвледиани), в VIII классе Ларгвисской средней школы (преподаватель Н. Шаоршадзе), в VI—VII классах Корнитской восьмилетней школы (преподаватель М. Бузаладзе).

F 1941

В большинстве обследованных школ физика преподается вне всякой наглядности, не проводятся необходимые лабораторные и практические работы. Во многих школах не выделены комнаты для кабинетов-лабораторий, а там, где таковые имеются,—они превращены в простые хранилища приборов и других наглядных пособий (Балтинская, Ларгвисская, Ередвская средние школы и Корнитская восьмилетняя школа). Не обращается внимания на изготовление самодельных приборов и работе предметных и технических кружков.

Не все школы области уделяют должное внимание делу осуществления политехнического обучения. В ряде школ не организованы учебные мастерские и не создана материальная база для проведения практических занятий и практикумов по машиноведению и электротехнике. До сих пор 57 школ Ленинго́рского района все еще не имеют земельных участков, а значительное число школ, имеющих таковые, не использует их по назначению, не проводит на них соответствующей учебно-практической работы.

Некоторые школы области и отделы народного образования все еще недостаточное внимание уделяют делу осуществления всеобщего обязательного обучения. В текущем учебном году из школ области отсеялось 325 детей и подростков школьного возраста.

В некоторых школах не стоит на должной высоте работа педагогического совета. На заседаниях педсовета не обсуждались задачи школ в связи с преподаванием новых предметов и осуществления политехнического обучения. Протоколы заседания педсовета Ередвской и Балтинской средних школ пишутся в непронумерованных книгах, не скреплены сургучной печатью и не подписаны заведующим РОНО.

Планы классных руководителей в большинстве обследованных школ составлены поверхностно, они однообразны и лишены конкретного содержания. В планах не предусмотрены мероприятия, способствующие поднятию академической успеваемости и укреплению сознательной дисциплины учащихся.

В расписаниях уроков большинства обследованных школ

таким предметам, как грузинский, русский языки и математика отведены 5-тые и 6-тые часы (Кехвская средняя школа, директор В. Кахниашвили; Балтинская средняя школа—директор Г. Бибилов; Ларгвисская средняя школа—директор Ш. Ломидзе).

В некоторых школах не приведены в порядок личные дела учащихся, в них нет свидетельств о рождении, не хранятся свидетельства об окончании 8-классов (Ередвская, Громская и Балтинская средние школы).

В некоторых школах плохо поставлено дело контроля и руководства за работой преподавателя.

Директора и заведующие учебной частью мало посещают уроки; прослушанные ими уроки не анализируются глубоко; записи прослушанных уроков ведутся небрежно.

Отсутствует должная помощь и руководство школой со стороны отделов народного образования. Ленингорский отдел народного образования не проводит всесторонней проверки работы школ, результаты обследования не обобщаются и не доводятся в письменном виде до сведения школ. У отдела народного образования не имеется плана работы на I и II кварталы 1956 года.

Приказываю:

Заведующему Обл. ОНО Юго-Осетии тов. Медоевой Н. Г.:

1. Принять решительные меры к устранению отмеченных в настоящем приказе недостатков в работе органов народного образования и школ области, с этой целью:

а) в кратчайший срок наладить точный учет детей школьного возраста и последовательно проводить мероприятия по предотвращению отсева учащихся из школ; принять все необходимые меры для возвращения в школу к новому учебному году всех детей и подростков, ранее отсеявшихся из школ области;

б) принять меры к осуществлению политехнического обучения в школах, оказать действенную помощь школам в деле пополнения учебных кабинетов учебными приборами и реактивами, при распределении средств на оборудование

учебных кабинетов в первую очередь обеспечить те школы, которые особенно нуждаются в наглядных пособиях по физике, химии, биологии и другим дисциплинам;

в) принять необходимые меры к созданию при школах учебных мастерских и улучшению условий для проведения практических занятий, добиться того, чтобы с нового учебного года ни одна школа не осталась без учебно-опытного участка;

г) тщательно изучить дело укомплектования школ преподавателями соответствующих специальностей и с нового учебного года с соблюдением существующих правил, заменить слабо работающих учителей, отмеченных в данном приказе, лучшими и подходящими педагогическими кадрами.

2. Заведующим отделами народного образования и директорам школ усилить руководство и контроль за работой учителей; на основе анализа прослушанных уроков наметить конкретные мероприятия по улучшению постановки преподавания отдельных учебных дисциплин и оказать действенную помощь учителям в их повседневной работе.

3. Настоящий приказ обсудить на Совете Обл. ОНО.

Основание: Постановление коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 25 мая 1956 года.

Министр просвещения Грузинской ССР **Г. Джибладзе**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 657

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 5 ივნისი

ქ. თბილისის ზოგიერთ სკოლაში უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ უცხო ენების სწავლების მდგომარეობა ქ. თბილისის სკოლებში წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაუმჯობესდა.

კარგად ასწავლიან ინგლისურ ენას: ბ. ქართველიშვილი (მე-8 საშუალო სკოლა), ს. საკაშვილი (29-ე საშუალო სკოლა), ქ. ბრეგვაძე (53-ე საშუალო სკოლა); გერმანულ ენას: ნ. გაბიევა (66-ე საშუალო სკოლა), ი. დანდუროვა (43-ე საშუალო სკოლა); ფრანგულ ენას: ა. ტიგრანოვა, ნ. ჩოჩია, ფ. სლონიმსკაია (38-ე საშუალო სკოლა), ქ. ანთაძე (39-ე საშუალო სკოლა) და სხვ.

აღნიშნული სკოლების მოსწავლეებს აქვთ გარკვეული ლექსიკური მარაგი, სწორი გამოთქმის ჩვევები. მათ ზეპირ და წერით მეტყველებაში მჟღავნდება გრამატიკული მასალის მკვიდრი ცოდნა მოსწავლეები თავისუფლად თარგმნიან უცხო ენიდან მშობლიურ ენაზე და პირიქით.

მე-8 საშუალო სკოლის XI^1 — XI^2 კლასის მოსწავლეები (ინგლისური ენის მასწავლებელი ბ. ქართველიშვილი) მასალას გადმოსცემენ არა მექანიკურად, არამედ გააზრებულად, სწორი გამოთქმითა და ინტონაციით.

კარგი ცოდნა გამოამჟღავნეს 43-ე საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეებმა (გერმან. ენის მასწ. ნ. გაბიევა). ფრანგული ენის მასწ. ფ. სლონიმსკაია მე-5 კლასის მოსწავლეთა ლექსიკური მარაგის გამდიდრებისა და განმტკიცების მიზნით მოხდენილად იყენებს თვალსაჩინოებას. ასევე კარგად იყენებენ თვალსაჩინოებას ნ. ჩოჩია, ა. ტიგრანოვა (38-ე საშუალო სკოლა) და სხვ.

უნდა აღინიშნოს ზოგიერთი დამწყები მასწავლებლის ნაყოფიერი მუშაობა. ასეთებია დ. ჯიმშელეიშვილი (1-საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწ.), ვ. შუბლაძე (მე-8 საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწ.) ნ. ჩხიკვიშვილი (29-ე საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწ.). შ. გვაზავა (36-ე საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწ.), ლ. გოგუაძე (86-ე საშუალო სკოლის გერმან. ენის მასწ). მასწავლებელი დ. ჯიმშელეიშვილი კარგად ფლობს როგორც ინგლისურ ენას, ისე მისი სწავლების მეთოდებს და ხერხებს. მას მთელი გაკვეთილი ინგლისურ ენაზე მიჰყავს, დიდ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა სწორი მეტყველების ჩვევების გამომუშავებას, სისტემატურად ატარებს საკლასო, საშინაო წერებს, სათანადო ყურადღებით ეკიდება ფონეტიკური ტრანსკრიპციის სწავლებას.

დამაკმაყოფილებლად ასწავლიან ინგლისურ ენას: ქ. ჩალიძე, დ. ბეიტრიშვილი (99-ე 8 წლიანი სკოლა), კ. ჭითავა, ე. გრიგორიანი (59-ე საშ. სკ.); გერმანულ ენას: ნ. შაბურიშვილი და ნ. ასათიანი (61-ე საშ. სკ.), ქ. ჭეიშვილი (24-ე საშ. სკ.); ფრანგულ ენას: ა. ალთიპარმაკი (35-ე საშ. სკ.), მ. სიხარულიძე (მე-10 საშ. სკ.), ა. იშხნელი (მე-11 საშ. სკ.) და სხვ.

რიგი მასწავლებლები სანიმუშოდ წარმართავენ მოსწავლეთა კლასგარეშე მუშაობას. ინგლისური ენის მასწ. ქ. ბრეგაძეს (53-ე საშ. სკ.) ორი წელიწადია ჩამოყალიბებული აქვს თვითმოქმედი დრამატული-წრე, რომელშიაც გაერთიანებულია IX — XI კლასების მოსწავლეები. წრე ხშირად ატარებს სკოლის დილა-საღამოებს, მონაწილეობს პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კონკურსებსა და მოსწავლეთა თვითმოქმედი დრამატიული კოლექტივების დათვალიერებაში. 43-ე საშუალო სკოლის მოსწავლეთა გერმანული ენის შემსწავლელმა წრემ მოაწყო ფ. შილერისადმი მიძღვნილი საღამო (მასწ. ი. დანდუროვა). სკოლებში ჩამოყალიბებულია მთარგმნელთა წრეები, სადაც მოსწავლეები მუშაობენ როგორც კლასიკოსების, ისე თანამედროვე მწერლების ნაწარმოებთა თარგმნაზე (1, მე-8, 53-ე საშუალო სკოლები). 1 საშუალო სკოლის მოსწავლეთა ინგლისური ენის წრე (ხელმძღ. მასწ. გეგეჭკორი) უშვებს კედლის გაზეთებს, ამზადებს ალბომებს.

აღსანიშნავია, რომ დანარჩენ შემოწმებულ სკოლებში სრულიად მივიწყებულია კლასგარეშე მუშაობა. ისინი არ იღებენ მონაწილეობას პიონერთა სასახლის მიერ ყოველწლიურად გამართულ კონკურსებში.

მთელ რიგ სკოლებში ჩამოყალიბებულია უცხო ენის მეთოდკომისიები, კარგად მუშაობს უცხო ენების მეთოდკომისია 24-ე, 53-ე, 1 საშუალო და 99-ე 8-წლიან სკოლებში. მეთოდკომისიებში წაკითხული მოხსენებები სრულყოფილია, ღია გაკვეთილები ტემატურად ტარდება, გამოცდილების ურთიერთ გაზიარებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის ხდება გაკვეთილებზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ეს არ ითქმის 47-ე და 86-ე საშუალო სკოლების შესახებ. ამ სკოლებში უცხო ენების მეთოდკომისიების სხდომებზე გამოტანილი მოხსენებები დაბალხარისხოვანია და კომისიების მუშაობა უფრო მეტად ფორმალურ ხასიათს ატარებს. არის შემთხვევები, როდესაც მეთოდკომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია სრულიად გამოუცდელი, დამწყები მასწავლებელი (29-ე საშუალო სკოლა, მასწ. ო. ბერუჩაშვილი).

სკოლები არ არის მომარაგებული თვალსაჩინოების მასალებით (ფონეტიკური, ორთოგრაფიული, გრამატიკული ტაბულები, თემატიკური სურათები). სასკოლო ბიბლიოთეკებში არ არის ლექსიკონები და უცხო ენაზე კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურა.

ზოგიერთი მასწავლებელი არ მუშაობს თავის თავზე, პასუხისმგებლობის გრძნობით არ ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას. 29-ე საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი პ. ჟორჟოლიანი სათანადოდ ვერ ფლობს ენას, მოუმზადებელი ცხადდება გაკვეთილზე, ბუნდოვნად ხსნის მასალას, თვითეულ მოსწავლემდე ვერ დაჰყავს, ასახსნელი მასალის შინაარსი, ვერ ახდენს მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შემოწმებას, ვერ ახერხებს გაკვეთილზე დროის მართებულად გამოყენებას, უპასუხისმგებლოდ ეკიდება მოსწავლეთა წერითი სამუშაოების ჩატარებას და გასწორებას, ყურადღებას არ ამახვილებს წერის ორთოგრაფიულ მხარეზე. მასწავლებელს არ შეუძლია სწორად შეადგინოს კითხვითი წინადადება, ამიტომ არის, რომ მის მოსწავლეებს მომზადების დაბალი დონე აქვთ, უჭირთ კითხვა და თარგმნა, არა აქვთ სიტყვათა მარაგი, სუსტად იციან განვლილი გრამატიკული მასალა.

არადამაკმაყოფილებელია 24-ე საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწ. ე. ადეიშვილის მუშაობა. გერმანული ენის დაბალი მომზადება გამოავლინეს მე-9 კლასის მოსწავლეებმა. თვით მასწავლებელმა გაკვეთილზე ვერ მისცა მოსწავლეებს ახალი მასალის სწორი თარგმანი. საკონტროლო წერის რვეულები მასწავლებლის მიერ

ზერელედ მოწმდება. არის შემთხვევები, როდესაც გაუსწორებელი რჩება მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომები. არ მოწმდება მოსწავლეთა საკლასო-საშინაო წერითი მუშაობის რვეულები.

პ. ჟორჟოლიანის და ე. ადეიშვილის მუშაობა 1952 წელს [illegible] შემოწმებული და მათ მიეცათ სათანადო მითითებანი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მაგრამ, მათ აქედან საჭირო დასკვნები არ გაუკეთებიათ.

სუსტად ასწავლის ინგლისურ ენას მ. ბერეჟიანი (68-ე საშუალო სკოლა). იგი მეთოდურად გაუმართავ გაკვეთილებს ატარებს, არასწორად აქვს შედგენილი გაკვეთილის გეგმები, მასწავლებელს უჭირს კითხვის სწორად დასმა, მოდუნებულია მოსწავლეებისადმი ყურადღება და კონტროლი, უზრუნველყოფილი არაა გაკვეთილზე მუშაობაში მთელი კლასის ჩაბმა. მასწავლებელ მ. ბერეჟიანს მოსწავლეების მიერ 16 მარტს შესრულებული საკონტროლო წერითი ნამუშევრები 17 აპრილისთვისაც კი არ ჰქონდა გასწორებული.

გერმანული ენის მასწავლებელ მ. ციცხვაიას (61-ე საშ. სკ.) შემოწმების დღისათვის გაუსწორებელი ჰქონდა მოსწავლეების მიერ სამი კვირის წინ შესრულებული საკონტროლო წერითი ნამუშევარი. წერით ნამუშევრებს იგი უყურადღებოდ ასწორებს. მ. ციცხვაიას შემოწმების დღეს გაკვეთილის გეგმა არ აღმოაჩნდა.

გერმანული ენის მასწავლებელ ვ. ჟღენტს (მე-17 საშ. სკ.) უჭირს X და XI კლასების მასალის დაძლევა. იგი სრულიად არ იყენებს დაფას.

მეთოდურ დახელოვნებას საჭიროებენ ფრანგული ენის მასწავლებლები ო. ბერუჩაშვილი (29-ე საშ. სკ.), ს. მასხულია (მე-18 საშ. სკ.), თ. დოლიძე და მ. შუბითიძე (მე-10 საშ. სკ.), ნ. ქოჩლაძე (39-ე საშ. სკ.) ე. ქურიძე (მე-11 საშ. სკ.) მათ სწავლება არა აქვთ აგებული მკაცრ ერთიან მოთხოვნაზე, მოსწავლეებს აქვთ მცირე ლექსიკური მარაგი, გრამატიკული მასალის მექანიკური ცოდნა, არა აქვთ სწორი კითხვის ჩვევები.

არის შემთხვევები, როცა მასწავლებლები ცუდად ან სრულიად არ იცნობენ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ მითითებებს წერითი სამუშაოების რაოდენობისა და სახეების შესახებ, რის შედეგადაც ისინი ხშირად საკონტროლო წერას მხოლოდ ზმნის უღლებაზე ატარებენ (მე-10 საშ. სკ. ფრანგ. ენის მასწ. მ. სიხარულიძე, თ. დოლიძე).

68-ე საშ. სკოლის IX კლასში ინგლისურ ენას ასწავლის ა. მუ-

რადოვა. იგი კარგად ფლობს ენას, მაგრამ შეზღუდულად გრძნობს თავს, რადგან სრულებით არ იცის ქართული ენა და ვერავითარ კონტროლს ვერ უწევს თარგმნას ქართულ ენაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები საკმარისი ყურადღებას აქცევენ უცხო ენის მასწავლებლების, განსაკუთრებით დამწყები მასწავლებლების მუშაობას. ამ მხრივ გამოირჩევიან 1-ი (დირექტორი ნ. კიკვაძე, სასწავლო ნაწილის გამგე ი. ხელაია), მე-8 (დირექტორი ქ. ნახუცრიშვილი, სასწავლო ნაწილის გამგეები ქ. ბარდაველიძე, ბ. ხვიჩია). მე-7 (დირექტორი ს. ბიბილეიშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე მ. გოგიტაძე), მე-17 (დირექტორი კ. ფანცულაია, სასწავლო ნაწილის გამგე ო. კეკელიძე), მე-18 (დირექტორი ა. კარტოზია, სასწავლო ნაწილის გამგე ო. ერქომაიშვილი) საშუალო სკოლები.

სათანადო დახმარებას უწევენ უცხო ენის მასწავლებლებს რაიონების განათლების განყოფილებები. 26 კომისრის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ამხ. მ. იავრიანი) ამ სასწავლო წელს შეამოწმა 13 სკოლის უცხო ენების მასწავლებლების მუშაობა. ასევე ითქმის ლენინისა და სტალინის სახელობის რაიონების განათლების განყოფილებებზე (გამგეები გ. ცქიტიშვილი, და ა. მეტრეველი). მაგრამ კალინინის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ამხ. ა. კალატოზიშვილი) ამ სასწავლო წელს მხოლოდ 46-ე საშუალო სკოლის ერთი მასწავლებლის მუშაობა აქვს შესწავლილი.

უცხო ენის მასწავლებლებს ქმედით დახმარებას უწევს ქალაქის პედკაბინეტი (გამგე ვ. მუშკუდიანი). ამ კაბინეტის მეთოდისტი გ. ორნატსკაია სათანადო მუშაობას აწარმოებს დამწყებ მასწავლებლებთან, სისტემატურად ესწრება გაკვეთილებს, ატარებს მასწავლებლებთან ინდივიდუალურ, ჯგუფურ კონსულტაციებს და თათბირებს გამოცდილების გაზიარების მიზნით, პედკაბინეტი ატარებს ლექცია-მოხსენებებს და „პედაგოგიურ კითხვას“.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სისტემატური ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლებში უცხო ენების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს, მეტი დახმარება აღმოუჩინონ უცხო ენების მასწავლებლებს, განსაკუთრებით კი დამწყებ მასწავლებლებს;

ბ) კალინინის სახელობის რაიონის განათლების განყოფილებამ (მამგე ამხ. ა. კალატოზიშვილი) გამოიყენოს მასწავლებელთა აქტივი და რეგულარულად შეამოწმოს სკოლებში უცხო ენების სწავლების მდგომარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა სისტემატური კონტროლი და დახმარება გაუწიონ უცხო ენების მასწავლებლებს, დასახონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები სკოლაში უცხო ენების სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის. სწორად წარმართონ უცხო ენების მეთოდკომისიების მუშაობა.

3. ქ. თბილისის განათლების განყოფილების პედკაბინეტმა განაზოგადოს მოწინავე მასწავლებელთა მუშაობა. უფრო ხშირად მოაწყოს ქალაქის მასშტაბით ღია გაკვეთილები და მათი საჯარო განხილვა; მოაწყოს უცხო ენების მეთოდური მასალების გამოფენა.

4. უცხო ენების მასწავლებლები გულდასმით მოემზადონ ყოველი გაკვეთილისათვის, მოსწავლეებს წაუყენონ მკაცრი და ერთიანი მოთხოვნები, გაკვეთილები ჩაატარონ ძირითადად უცხო ენაზე სერიოზული ყურადღება მიაქციონ სალექსიკონო მუშაობას, საკლასო-საშინაო და საკონტროლო წერითი სამუშაოები ჩაატარონ მაღალხარისხოვნად, გულდასმით და თავის დროზე გაასწორონ ნამუშევრები; გრამატიკული მოვლენების ახსნისას მოახდინონ შესასწავლი მასალის დაკავშირება მშობლიურ ენაში გავლილ გრამატიკულ მასალასთან, მეტი ყურადღება მიაქციონ მოსწავლეთა სწორ მეტყველებას და თარგმანს. წერითი სამუშაოების ჩატარებისათვის მტკიცედ იხელმძღვანელონ განათლების სამინისტროს მიერ დაშვებული მეთოდური მითითებებით წერითი სამუშაოების რაოდენობისა და სახეების შესახებ; ფართოდ გაშალონ კლასგარეშე მუშაობა უცხო ენაში; შექმნან უცხო ენების შემსწავლელი წრეები; დრამატული, კლასგარეშე კითხვის, სასაუბრო, მთარგმნელთა; მოაწყონ დილა-საღამოები, ვიქტორინები. ჩააბან მოსწავლეები პიონერთა სასახლეში უცხო ენების ხაზით გამართულ ღონისძიებებში.

5. გერმანული ენის მასწავლებლებს პ. ჟორჟოლიანს (29-ე საშ. სკ.), ე. ადეიშვილს (27-ე საშ. სკოლა), მ. ციცხვაიას (61-ე საშუალო სკოლა) და ინგლისური ენის მასწავლებელ მ. ბერეჟიანს (68-ე საშ. სკ.) სუსტი მუშაობისათვის მიეთითოთ.

6. გაფრთხილებულ იქნან ფრანგული ენის მასწავლებლები: ო. ბერუჩაშვილი (29-ე საშ. სკ.), ს. მასხულია (მე-18 საშ. სკ.), თ-

დოლიძე და მ. შუბითიძე (მე-10 საშ. სკ.), ნ. ქოჩლაძე (39-ე საშ. სკ.) და ე. ქურიძე (მე-11 საშ. სკ.), რომ თუ ისინი დროულად არ გარდაქმნიან მუშაობას, მათ მიმართ მიღებული იქნება ადმინისტრაციული ზომები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. 68-ე საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ა. მურადოვა მოსწავლეთა მშობლიური ენის არცოდნის გამო მომავალი სასწავლო წლიდან გადაყვანილ იქნას რუსულ სკოლაში.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა გამოსცეს ქართულ ენაზე მეთოდური ლიტერატურა უცხო ენების მასწავლებელთათვის.

9. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ გამოსცეს ფონეტიკური, ორთოგრაფიული, გრამატიკული ტაბულები და თემატიკური სურათები ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე და მოამარაგოს სკოლები აღნიშნული მასალებით.

10. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს წინაშე, რომ ბიბკოლექტორმა დააკომპლექტოს სასკოლო ბიბლიოთეკები ლექსიკონებითა და უცხო ენაზე კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურით.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 25 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 677

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 12 ივნისი

პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობის შემოწმებით დადასტურდა, რომ უკანასკნელ წლებში ინსტიტუტმა გააუმჯობესა სამეცნიერო-საკვლევო და ორგანიზაციული მუშაობა. ჩამოყალიბდა შრომითი პოლიტექნიკური სწავლების მეთოდიკის სექტორი, შემცირდა შემთავსებელთა რიცხვი, გაუმჯობესდა ასპირანტურის მუშაობა, დამყარდა კავშირი რსფსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიასთან, გარკვეული მუშაობა ტარდებოდა მეთოდური ლიტერატურის გამოსაცემად და მასწავლებელთა პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, შეიქმნა უმაღლესი სასწავლებლებისათვის პედაგოგიკის სახელმძღვანელო და სხვ.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი ჯერ კიდევ სუსტად არის დაკავშირებული სკოლასთან და არადამაკმაყოფილებლად ანზოგადოებს მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში. სუსტია მასწავლებლებსა და სკოლებზე ინსტიტუტის ცალკე სექტორების დახმარება. ნაშრომებში სჭარბობდა ისტორიზმი და სათანადო გამოხატულებას ვერ პოულობდა პოლიტექნიკური სწავლებისა და მორალური აღზრდის დარგში დაგროვილი სკოლის ცოცხალი გამოცდილება.

განსაკუთრებით სუსტია ინსტიტუტის დახმარება სკოლებისადმი ისეთი სადღეისო პედაგოგიური საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება, სწავლების

ხარისხის ამაღლების ღონისძიებანი, მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის აღზრდა, მეთოდურ-პედაგოგიური მუშაობა მასწავლებელთა შორის და სხვ. ინსტიტუტში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეებში ზრდილობის, კულტურული ყოფაქცევის ჩვევებისა და ჩვეულებათა დანერგვის, ბავშვთა შორის ნამდვილი მეგობრობის აღზრდისა და პოლიტექნიკური სწავლების საკითხებზე ექსპერიმენტულ-დაკვირვებითი ხასიათის ნაშრომების გამოქვეყნებას.

ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკა ხშირად სკოლის მოთხოვნილებისაგან მოწყვეტით მუშავდება. შესრულებული შრომები სათანადო სიღრმით არ იხილება ინსტიტუტში, არასაკმარისად ეწყობა დისკუსიები, სამეცნიერო სესიები. რიგ შემთხვევაში სისტემატური რითმული მუშაობის ნაცვლად, საკვლევი თემები ზერელედ მუშავდება წლის უკანასკნელ თვეებში. დირექციის მიერ არ არის დაწესებული საკმაო კონტროლი და დახმარება სამეცნიერო მუშაობაში. 1955 წლის მანძილზე შესრულებული თემების დიდი ნაწილი არ ატარებს ექსპერიმენტულ ხასიათს და არ ეყრდნობა მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას. ინსტიტუტი არ აწყობს გამოცემული შრომების საჯარო განხილვას. ინსტიტუტის მუშაკები ნაკლებად არიან სკოლებში, რაც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ნაშრომების ხარისხზე და მათ პადაგოგიურ ეფექტურობაზე. ინსტიტუტი სათანადო დახმარებას ვერ უწევს განათლების სამინისტროს სასწავლო გეგმების, პროგრამებისა და თანამედროვე პირობებისათვის შესაბამისი მეთოდური ლიტერატურის დამუშავების საქმეში; სათანადო მონაწილეობას არ იღებს სასკოლო სახელმძღვანელოების გაჯრჩევა-ანალიზში, სუსტად ეხმარება სამინისტროს სახელმძღვანელოების დასტაბილირებისა და ზედმეტი, ბავშვებისათვის დაუძლეველი მასალებისაგან მისი განტვირთვის საქმეში. ინსტიტუტის მიერ გამოცემული მეთოდური ლიტერატურა, ტირაჟის სიმცირის გამო, სკოლებისა და მასწავლებლების უმრავლესობამდე ვერ აღწევს. ინსტიტუტის მუშაკები მოსახლეობასა და სკოლებში სუსტად ეწევიან ცოცხალ, ქმედით პედაგოგიურ პროპაგანდას.

ინსტიტუტის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს (პროფ. დ. ლორთქიფანიძე):

ა) ინსტიტუტის მთელი მუშაობა გარდაქმნას სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე:

ბ) დაამუშაოს საშუალო სკოლის სასწავლო გეგმის ახალი პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შრომითი აღზრდისა და პოლიტექნიკური განათლების შემდგომი გაფართოება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უზრუნველყოს სათანადო სექტორებში (ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენაში, საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში) პროგრამებისა და სახელმძღვანელოების საფუძვლიანი შესწავლა მოსწავლეთათვის დაუძლეველი და მეცნიერების ძირითადი საფუძვლების ფარგლებისათვის შეუთავსებელი მასალების ამოღების მიზნით;

დ) საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის გადაწყვეტილების შესასრულებლად გარდაქმნას ინსტიტუტის კვლევითი მუშაობა იმ საფუძველზე, რომ სისტემატურად სწავლობდეს და ამაღლებდეს სკოლისა და მასწავლებლის მოწინავე გამოცდილებას, პოლიტექნიკური სწავლების, კომუნისტური აღზრდის, შეგნებული დისციპლინის დანერგვასა და სხვა აქტუალურ საკითხებს;

ე) საფუძვლიანად შეისწავლოს პოლიტექნიკური სწავლების პირველი შედეგები ქალაქისა და სოფლის სკოლებში; დაამუშაოს და გამოსცეს სათანადო ლიტერატურა სწავლების საწარმოო შრომასთან დაკავშირებით, მოსწავლეებში შრომისმოყვარეობისა და მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის საჭირო ჩვევების აღზრდის საკითხებზე;

ვ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მოსწავლეებში კომუნისტური მორალის, შეგნებული დისციპლინის, საბჭოთა პატრიოტიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და მეგობრობის გრძნობის, მეცნიერულ-ათეისტური მსოფლმხედველობისა და სხვა თვისებების აღზრდის საკითხების დამუშავებასა და სათანადო ლიტერატურის გამოცემას.

ზ) ხშირად მოაწყოს დისკუსიები გამოცემულ და გამოსაცემ შრომებზე;

თ) მეცნიერი მუშაკებით ინსტიტუტის დაკომპლექტება აწარმოოს კონკურსების საშუალებით;

ი). დაამყაროს საქმიანი ურთიერთობა უკრაინის, სომხეთისა და აზერბაიჯანის სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტებთან;

კ) უზრუნველყოს მშობელთა შორის პედაგოგიური ინსტიტუტების პედაგოგიკის კათედრების დახმარებით ფართო პედაგოგიური პროპაგანდის გაშლა რესპუბლიკაში.

2. სკოლების სამმართველომ საბავშვო სახლებისა და ბაღების განყოფილებასთან ერთად (გ. საყვარელიძე და ვ. ჩინჩალაძე) პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმოებისათვის გამოყოს 2 — 3 საბაზო სკოლა და 1 — 2 საბავშვო ბაღი.

3. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა განყოფილებამ (ს. არველაძე):

ა) მიიღოს საჭირო ზომები, რათა მეთოდური ლიტერატურის ტირაჟის გასადიდებლად დამატებით გამოუყოს ინსტიტუტს ქაღალდის ფონდი;

ბ) დასვას საკითხი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა იაკობ გოგებაშვილის თხზულებათა ათტომეულის დარჩენილი 5 ტომის და ა. ს. მაკარენკოს თხზულებათა დასაბეჭდად საგანგებოდ გამოიყოს 18 ტონა ქაღალდი, რაც შესაძლებლობას მისცემს ინსტიტუტს უახლოეს 2 — 3 წელში დაამთავროს აღნიშნულ თხზულებათა გამოცემა.

4. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ და ჟურნალმა „კომუნისტური აღზრდისათვის“ (გ. საჯაია და გ. ნიორაძე) რეგულარულად გააშუქონ ინსტიტუტის მუშაობა თავიანთ ფურცლებზე.

ეს ბრძანება განხილულ იქნას ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 25 მაისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 712

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 19 ივნისი

ქალაქ თბილისის 77-ე საშუალო სკოლის გამოცდილების შესახებ

მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და მეგობრობის განმტკიცების მიზნით გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქციის ინიციატივით ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლამ (დირექტორი ამხ. გ. კობახიძე) საქმიანი ურთიერთობა დაამყარა მოსკოვის 204-ე საშუალო სკოლასთან, რომელიც ერთ-ერთი მოწინავეა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის სკოლებს შორის.

77-ე საშუალო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ჯგუფი და ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სკოლების რამდენიმე მუშაკი ამას წინათ ესტუმრა მოსკოვის აღნიშნულ სკოლას. აქ მათ ყოველგვარი პირობები შეუქმნეს იმისათვის, რომ ახლო გასცნობოდნენ სკოლის მუშაობას: დაესწრენ გაკვეთილებს, მოსწავლეთა პრაქტიკულ მეცადინეობას სასწავლო სახელოსნოსა და კაბინეტ-ლაბორატორიებში, შეისწავლეს კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ღონისძიებანი.

თბილისის განათლების მუშაკები უშუალოდ დარწმუნდნენ, რომ მოსკოვის 204-ე სკოლაში სასწავლო-საალმზრდელო მუშაობა სანიმუშოდაა დაყენებული, პედაგოგიური კოლექტივის თითოეული წევრი მაღალი პასუხისმგებლობით ასრულებს თავის მოვალეობას და თვალსაჩინო წარმატებას აღწევს მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცებისა და აკადემიური წარმატების საქმეში. მასწავლებელთა ნაყოფიერი შრომის შედეგად უკანასკნელი 3 წლის მანძილზე არც ერთ მოსწავლეს არ დაჰკლებია ნიშანი ყოფაქცევაში, მოსწავლეთა აბსოლუტური მოსწრება 91 %-ს უდრის.

სანიმუშოა სასკოლო რეჟიმი. გაკვეთილების დაწყებამდე მასწავლებლები ნახევარი საათით ადრე ცხადდებიან სკოლაში და

სრულ წესრიგზე მოჰყავთ გაკვეთილისათვის საჭირო მასალები. მეცადინეობის დაწყებამდე ხუთი წუთით ადრე ირეკება ზარი. კლასის ორგანიზატორები და მორიგეები ყველაფერს აწესრიგებენ და მეორე ზარის შემდეგ მასწავლებლები უკვე ნორმალურად [illegible] გაკვეთილს. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ყველა კლასის მოსწავლე მწყობრად გამოდის შენობიდან და ყოველგვარი ხმაურის გარეშე მიეშურება შინისაკენ. ყველა მოსწავლე ფორმით ცხადდება სკოლაში და თან ატარებს მოსწავლის ბილეთს.

სანიმუშოდაა მოვლილ-დაცული სასკოლო ინვენტარი და შენობა. სკოლაში 4 წლის წინათ ჩაუტარებიათ რემონტი, მაგრამ ყველაფერი ისე გამოიყურება, თითქოს შენობა ახლახან შეეკეთებინოთ და ინვენტარიც ახლახან შეეძინოთ. დერეფნები მხატვრულადაა გაფორმებული ლოზუნგებით, კედლის გაზეთებით, სურათებით.

მშვენივრადაა მოწყობილი სააქტო და სასწავლო კინოდარბაზები. საკმაოდ დიდ ოთახში მოწყობილია მოსწავლეთა თვითნაკეთი ხელსაწყოებისა და მოდელების გამოფენა. სანიმუშოდაა მოვლილი და გამოყენებული სასწავლო კაბინეტების ხელსაწყო-იარაღები, აგრეთვე დიდაქტიკური მასალა. ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კაბინეტებს გარდა, აქ მოწყობილია გეოგრაფიისა და ისტორიის კლასკაბინეტები, აგრეთვე მუსიკის კაბინეტი. საგნობრივი მეთოდური ლიტერატურა, პროგრამები, მასწავლებელთა გეგმები, მოხსენებები და სხვ.

განსაკუთრებით კარგადაა მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები. აქ შექმნილია ელექტროტექნიკის, რადიოტექნიკის, მანქანათმცოდნეობის, საზეინკლო და სადურგლო განყოფილებები. ყველა განყოფილება უზრუნველყოფილია სათანადო მოწყობილობითა და მასალით. ახალ საგნებს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ასწავლიან.

მისაბაძია საზაფხულო არდადეგების ჩატარების პრაქტიკა. გამოცდების დამთავრების შემდეგ სკოლა მთელი ზაფხულის განმავლობაში ქალაქგარეთ მიდის, რომელიმე კოლმეურნეობაში ბანაკდება და იქ რჩება აგვისტოს შუა რიცხვებამდე. მოსწავლეები აქ მხიარულსა და შემოქმედებით აღსავსე ცხოვრებას ეწევიან, თავიანთი ხელით ამზადებენ საჭმელს, რეცხავენ ტანსაცმელს და გონივრულად ისვენებენ. ისინი ენერგიულად ეხმარებიან კოლმეურნეობას მოსავლის აღება-დაბინავების, ბაღებისა და ბოსტნეულის დამუშავების,

პირუტყვის მოვლა-პატრონობის საქმეში. მოსწავლეებს კოლმეურნეობა უწერს შრომა დღეებს.

გარდა ამ მუშაობისა, მოსწავლეები კოლმეურნეებს უტარებენ კონცერტებს, უჩვენებენ თავიანთ შემოქმედებითს უნარს, თხავენ ჟურნალ-გაზეთებს. მასწავლებლები აქ სისტემატურად ამეცადინებენ აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს, რომლებიც შემდეგ წარმატებით აბარებენ საშემოდგომო გამოცდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიწონებ რა ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლის გამოცდილებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა, სკოლების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ ასეთი სასარგებლო ურთიერთობის დამყარება როგორც რესპუბლიკის, ისე მოკავშირე რესპუბლიკათა მოწინავე სკოლებს შორის.

2. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ (ამხ. თ. მათიაშვილი) გამოყოს საჭირო ასიგნობანი ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლის სასკოლო ინვენტარ-მოწყობილობით უზრუნველყოფის მიზნით.

3. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ ფართოდ გააშუქოს როგორც 77-ე, ისე ყველა სხვა სკოლის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ბ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 732

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 26 ივნისი

კადრების მუშაობის დარგში ქ. თბილისის განათლების განყოფილების საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ქ. თბილისის განათლების განყოფილების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის დარგში ერთგვარი მიღწევების მიუხედავად, განყოფილების მუშაობაში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ქალაქის არც ერთი რაიონის განათლების განყოფილებაში სრულ წესრიგზე არ არის მასწავლებელთა პირადი სააღრიცხვო ბარათები. მასწავლებელთა დიდ ნაწილს არა აქვს შევსებული სააღრიცხვო ბარათები, საქმეებში არაა ბრძანების ამონაწერი მასწავლებლის თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის დანიშვნის შესახებ. ბევრს აკლია ავტობიოგრაფია, ფოტოსურათები და სხვა. სააღრიცხვო ბარათებში შეტანილი არ არის ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით მასწავლებელთა შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სტალინის, ორჯონიკიძის, კალინინის, კიროვისა და 26 კომისრის რაიონებში. სტალინის რაიონის სკოლებში არ იცნობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1954 წლის ინსტრუქციას მასწავლებელთა აღრიცხვის, დანიშვნის, გადაყვანისა და დათხოვნის შესახებ. კალინინის რაიონში განთავისუფლებული მასწავლებლები ისევ აღრიცხვაზე ჰყავთ. 1955 წელს სამუშაოდან განთავისუფლებული 39-ე საშუალო სკოლის მასწავლებლები: ღლონტი, სულიკაშვილი და გელიაშვილი ამჟამადაც არ არიან მოხსნილი აღრიცხვიდან. განათლების სამინისტროს 1955 წლის 5/IX № 2772/კ ბრძანებით სამუშაოდან განთავისუფლებული მასწავლებელი გელიაშვილი ახლაც განაგრძობს მუშაობას სკოლაში.

კიროვის რაიონში მასწავლებელთა პირადი საქმეები არაა დალაგებული სკოლების მიხედვით; 26 კომისრის რაიონში მასწავლებელთა პირად საქმეებში ცვლილებები არ არის შეტანილი 1953 წლის შემდეგ. პირადი საქმეები არა აქვთ მე-80 რვაწლიანი სკოლის, 83-ე საშუალო სკოლის ხუთ, 76-ე სკოლის 7 მასწავლებელს და აგრეთვე 82-ე რვაწლიანი სკოლის დირექტორს ვარაბეიჩუკს. მასწავლებელთა პირადი საქმეები შედარებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებაში (გამგე ცქიტიშვილი), მაგრამ იგივე არ ითქმის ამ რაიონის ყველა სკოლაზე (მე-6 საშუალო სკოლა, დირექტორი ქიშმარია). მასწავლებელთა აღრიცხვის საქმე შედარებით წესრიგშია ქალაქის სახალხო განათლების განყოფილებაში (ინსპექტორი კადრების დარგში ჩხარტიშვილი), მაგრამ ქალაქის განათლების განყოფილება რაიონის განათლების განყოფილებებს არ უწევს სისტემატურ დახმარებასა და კონტროლს.

შრომის წიგნაკები არ არის სათანადოდ შევსებული და მოვლილი. შრომის წიგნაკები არა აქვს ლენინის რაიონის ორმოცდაექვს, სტალინის რაიონის ასსამოც, მოლოტოვის რაიონის ოთხმოცდათორმეტ, ორჯონიკიძის რაიონის ასოთხმოცდაათ, კალინინის რაიონის ასოცდათვრამეტ, კიროვის რაიონის ოთხმოცდაექვს, 26 კომისრის რაიონის ორას და გარეუბნის რაიონის ასსამოც მასწავლებელს. სტალინის რაიონში შრომის წიგნაკები მოწესრიგებულია მხოლოდ 21-ე და 25-ე საშუალო სკოლებში. აქ მასწავლებელთა ნაწილის შრომის წიგნაკები ინახება მათ პირად საქმეებში, ნაწილი კი საქმის მწარმოებლის უჯრაში ან განათლების განყოფილების გამგის სალაროში. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი კალინინის რაიონშიც. 26 კომისრის რაიონში შრომის წიგნაკებზე გაპიროვნებულია სასკოლო ინსპექტორი ბერინიანი, მაგრამ შრომის წიგნაკებში ცვლილებები არ შეაქვთ. აქ შრომის წიგნაკები უბრალო კარადაში ინახება. გარეუბნის რაიონის განათლების განყოფილებაში ინახება 200-მდე შრომის წიგნაკი ისეთი პირებისა, რომლებიც დიდი ხანია რაიონიდან წავიდნენ.

შემოწმებით დადასტურდა, რომ თბილისის თითქმის ყველა რაიონში ადგილი ჰქონდა მასწავლებელთა სამუშაოდ დაშვებას განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე. სტალინის რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე მეტრეველი) განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე დაუშვა სამუშაოდ 22-ე საშუალო

სკოლაში ამირან კობახიძე, მე-19 საშუალო სკოლაში — გერონტე ხვედელიძე, მე-20 საშუალო სკოლაში — თინა მგელაძე. ორჯონიკიძის რაიონში განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე 1955 წლიდან მუშაობენ: თორნიკე ჯაბუა (მუშა ახალგაზრდობის მე-11 საშუალო სკოლა), ლეილა ნაჭყებია (62-ე საშუალო სკოლა), მაგდა მჭედლიშვილი (54-ე საშუალო სკოლა). ორჯონიკიძის რაიონის განათლების განყოფილებამ 58-ე საშუალო სკოლაში ისტორიის გაკვეთილები (V — VIII კლასებში) დაუჯავშნა საქართველოს სსრ დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის თავმჯდომარეს, უცენზო პიროვნებას ამხ. გაბუნიას, იმ შემთხვევისათვის, თუ მას ხელმეორედ არ აირჩევდნენ ამ თანამდებობაზე (ეს საათები დროებით მიეცა ამავე სკოლის პიონერხელმძღვანელს). კიროვის რაიონში დღემდე მუშაობენ სამინისტროს ბრძანების გარეშე მასწავლებელი შვედკო და პივნევა (მუშა ახალგაზრდობის მე-3 სკოლა). ვაშაკიძე, მღებრიშვილი (67-ე საშუალო სკოლა), ცინცაძე (68-ე საშუალო სკოლა), ხოლო 66-ე საშუალო სკოლაში რაიონის განათლების განყოფილებამ მათემატიკის მასწავლებლად წარსული წლის ნოემბერში დანიშნა უმაღლესი განათლების არმქონე ამხანაგი ბაზილიკოვი და გასაფორმებლად წარმოადგინა მიმდინარე წლის იანვარში. უარესი მდგომარეობაა ამ მხრივ 26 კომისრის რაიონში (განათლების განყოფილების გამგე ამხ. იავრიანი) აქ ბრძანების გარეშე მუშაობენ: მასწავლებლები ვ. არუთინიანი (90-ე საშუალო სკოლა), მ. მკრტიჩიანი და ზ. გალუსტიანი (95-ე სკოლა), ს. მატიკიანი (94-ე საშუალო სკოლა), ლ. არუთინოვი (89-ე საშუალო სკოლა). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მათგანი 2 და მეტი წელია, რაც ბრძანების გარეშე მუშაობს. 76-ე საშუალო სკოლის დირექტორმა ხოშტარიამ ერთი თვე ამუშავა სკოლაში მასწავლებელი ტარშინა ისე, რომ რაიონის განათლების განყოფილებამაც არაფერი იცოდა ამის შესახებ. ამხ. ხოშტარია ფიზკულტურის მასწავლებელს ამხ. კაპანაძეს ყოველგვარი ბრძანების გარეშე ამუშავებს ხან ისტორიის, ხან სამხედრო საქმის მასწავლებლად IX — XI კლასებში, მიუხედავად იმისა, რომ დიპლომი არა აქვს. 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილებამ მოქ. ლ. ვასერმანი შარშან დანიშნა მე-15 მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში, სადაც დღემდე მუშაობს განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე.

დირექციის შემადგენლობაში არ არიან შერჩეული სხვადასხვა

სპეციალობის მუშაკები ქ. თბილისის 71 სკოლაში. 7 საშუალო სკოლაში დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ფილოლოგები არიან, 8 საშუალო სკოლაში ყველა ისტორიკოსია, 20 საშუალო სკოლაში ყველა ფილოლოგი და ისტორიკოსი, 73-ე სკოლაში კი დირექტორი და სასწავლო ნაწილის გამგე ინჟინერები არიან და და ასწავლიან მათემატიკას.

კლასის ხელმძღვანელებად არ არიან გამოყენებული მოწინავე მასწავლებლები.

ხშირია საათების დაქუცმაცების შემთხვევები. ლენინის რაიონის მე-3 საშუალო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებელს ხარატიშვილს აქვს 6 საათი, მე-4 საშუალო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებელ გიგინეიშვილს — 4, გეოგრაფიის მასწავლებელს ჩანთაძეს — 6, ისტორიის მასწავლებელს მანჩხავას — 6 საათი. სტალინის რაიონის მე-18 საშუალო სკოლაში გერმანული ენის მასწავლებელს კოკილაშვილს აქვს 3 და გოგილაშვილს 2 საათი. მე-20 სკოლაში ბიბლიოთეკარ ჩიჩუას აქვს ქართული ლიტერატურის 4 საათი. მოლოტოვის რაიონის სკოლებში ძალზე დაქუცმაცებულია განსაკუთრებით უცხო ენების საათები (23-ე, 30-ე, 32-ე, მე-3 სკოლები). 26 კომისრის რაიონში 79-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების გეოგრაფიის მასწავლებელს აკოფ ბაბიანს აქვს მხოლოდ 2 საათი. იმავე სკოლის მასწ. პახჩიანს აქვს ბუნებისმეტყველების 4 საათი, გარიბოვას — გერმანული ენის 6 საათი, ტარხანიანს ბიოლოგიის 2 საათი (არის ლაბორანტიც). 86-ე საშუალო სკოლაში ელენე კარაპეტიანი ასწავლის ფრანგულ ენას და აქვს 6 საათი; ამავე საგნის მეორე მასწავლებელს 9 საათი აქვს; 87-ე საშუალო სკოლის მასწ. პეტრიაშვილი ასწავლის გერმანულსა და ინგლისურ ენებს და აქვს სულ 4 საათი. 84-ე საშუალო სკოლაში გერმანულისა და ფრანგული ენების 23 საათი განაწილებულია 4 მასწავლებელზე. 81-ე სკოლაში მასწ. დინერმანს დაწყებით კლასებში აქვს 16 საათი ხოლო IX — XI კლასებში 4 საათი. გლდანის საშუალო სკოლაში ელენე დავლიანიძე ბუნებისმეტყველებას ასწავლის დაწყებით კლასებში, აქვს მხოლოდ 2 საათი. იმავე სკოლაში მადლენა ლაშხი ასწავლის ქართულ ენას და ლიტერატურას, აქვს 6 საათი (იგი ამავე სოფლის საბავშვო ბაღის გამგეა). დიდი ლილოს საშუალო სკოლაში ლიტერატურის საათებზე ერთ IX კლასში მიიწვიეს ნუნუ შენგელიძე; კოჯრის საშუალო სკოლაშიც ერთ XI კლასში ასწავლის ლიტერატურას თინა ჭარელიშვილი.

არადამაკმაყოფილებელია ქ. თბილისის სკოლების მასწავლებელთა შემადგენლობა განათლების ცენზის მიხედვით.

ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით მუშაობენ IX—XI კლასებში უმაღლესი განათლების არმქონე მასწავლებლები. მათი უმრავლესობა დიდი ხნის განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ მუშაობას, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც მცირე ხნის პედაგოგიური სტაჟი აქვთ. მაგალითად, მე-2 საშუალო სკოლაში მათემატიკას ასწავლის ახალგაზრდა მასწავლებელი ლევ შიხმანი, რომელსაც ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი იმისათვის, რომ დიპლომი მიეღო, მაგრამ ამაზე არ უზრუნვია.

იმ მასწავლებელთა აღრიცხვის საქმე, რომლებიც არ მუშაობენ, დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ლენინის და მოლოტოვის რაიონებში; დანარჩენ რაიონებში ასეთი აღრიცხვა არ ჩატარებულა განათლების სამინისტროს მითითებათა შესაბამისად.

კიროვისა და 26 კომისრის სახალხო განათლების განყოფილებებმა მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა ტარიფიკაცია მიმდინარე სასწავლო წლისათვის ჩაატარეს სექტემბრის დამლევს და ოქტომბერში, მაშინ, როდესაც ეს სამუშაო უნდა დამთავრებულიყო 1956 წლის 1-ლ სექტემბრამდე. მთელ რიგ შემთხვევებში მასწავლებელთა ან სკოლის სხვა მუშაკთა პირად საქმეებში არ ინახება განათლების ცენზისა და პედაგოგიური მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები. მასწავლებელთა ტარიფიკაციის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ შეცდომებს. დარღვეულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1947 წლის 3 ოქტომბრის № 2625 ბრძანება რვაწლიანი და საშუალო სკოლების წრეების ხელმძღვანელთა თანამდებობისა და ანაზღაურების შესახებ. ნაცვლად ორი სახის წრისა, სკოლებში ჩამოყალიბებულია თითო სახის წრე (0,25 განაკვეთი), ანაზღაურება კი ხდება 0,5 განაკვეთზე კიროვის რაიონის 74-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ვ. ე. თოდუა V—VIII კლასებში ტარიფიცირებულია 1 თანრიგით, 2 წლის პედმუშაობის სტაჟით, თვეში მას 4 საათზე ეწერებოდა 153 მან. 33 კაპ. ნაცვლად 146 მან. 66 კაპ. 6 მან 66 კაპ. მეტი თვეში. იმავე სკოლის მასწ. თ. მ. სარქისიანი V—VIII კლასებში ტარიფიცირებულია 1 თანრიგით, 15 წლის პედსტაჟით. 6 საათზე მას ეწერებოდა 265 მან. ნაცვლად 255 მანეთისა (თვეში 10 მანეთით მეტი). მასწ. ნ. ა. სიმონიანი V—VIII კლასებში ტარიფიცირებულია 1 თანრიგით, 8 წლის პედმუშაობის სტაჟით, 1 ჯგ. საგნებში 18 საათზე ეწერებო-

და 735 მან. (თვეში 32 მან. 83 კაპ. მეტი). 104-ე საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი ხაჩატურიანი თვეში კუთვნილ ხელფასზე 55 მანეთით მეტს ღებულობდა. 66-ე საშუალო სკოლის მასწ. გ. მ. ართილაყვა ჩხარტიშვილისა I — IV კლასებში ტარიფიცირებულია 10 წლის პედაგოგიური მუშაობის სტაჟით, 1 თანრიგით. 6 საათზე მას ეწერებოდა 172 მან. 50 კაპ. (თვეში 13 მან. 75 კაპ. მეტი). იმავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გ. გ. ერქომაიშვილი ტარიფიცირებულია 17 წლის ადმინისტრაციული მუშაობის სტაჟით 1687 მოსწავლეზე-თვეში 1092 მან. ოდენობით, ნაცვლად 9 წლის ადმინისტრაციული სტაჟისა 1001 მან. (თვეში 91 მანეთით მეტი). 65-ე საშუალო სკოლის მასწ. რ. ვ. სურგულაძე V — VIII და IX — XI კლასებში ტარიფიცირებულია 1 თანრიგით, 5 — 10 წლამდე პედმუშაობის სტაჟით. V — VIII კლასებში მას 3 საათზე ეწერებოდა 122 მან. 50 კაპ., IX — XI კლასებში 16 საათზე 680 მან., ნაცვლად 115 მანეთისა V — VIII კლასებში და 631 მან. 11 კაპ. IX — XI კლასებში (თვეში 56 მან. 39 კაპ. მეტი).

ამ დარგში კიდევ უფრო მეტი დარღვევებია შენიშნული 26 კომისრის რაიონის სკოლებში. 76-ე საშუალო სკოლის მასწ. დ. ნ. კაპანაძეს ყოველთვიურად ეწერებოდა კუთვნილ ხელფასზე 4 მანეთი 59 კაპ. მეტი, 96-ე საშუალო სკოლის მასწ. ო. ა. დომკინას — 55 მან. მეტი,მე-80 რვაწლიანი სკოლის მასწ. თ. ა. ზახაროვა — საგოიანს 41 მან. 25 კაპ. მეტი, 82-ე რვაწლიანი სკოლის მასწ. ს. ე. შნიტმანს — 6 მან. 66 კაპ. მეტი, 106-ე რვაწლიანი სკოლის მასწ. ა. ს. ბესპალოვას 20 მანეთით მეტი, ამავე სკოლის მასწ. ი. ი. სუმბაძეს 5 მან. 66 კაპ. მეტი, ამავე სკოლის მასწ. ა. გ. გეგენავას 93 მან. 34 კაპ. მეტი და 89-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ა. კ. ჯაფარიძეს — 91 მანეთით მეტი.

კიროვისა და 26 კომისრის რაიონების სტატისტიკური მასალების შემოწმების შედეგად აღმოჩნდა შეცდომები ნაკრებ ანგარიშებში. 26 კომისრის რაიონში მუშაკთა რაოდენობისა და შრომის ხელფასის ფონდის აღრიცხვის ანგარიშში I — IV კვარტალების ნამატი თანხის მონაცემები შესაბამისად არ უდრიდა წლიურ ანგარიშებს. მაგალითად, წლიური ანგარიშის ნამატ ჯამში სხვაობა მეოთხე კვარტალთან უდრის საშუალო სკოლებში 2,4 ათას მანეთს, რვაწლიან სკოლებში 4.2 ათას მანეთს, მუშა ახალგაზრდობის სკოლებში 15,3 ათას მანეთს, საბავშვო ბაღებში — 5,6 ათას მანეთს. არასწორადაა შევსებული სასკოლო ბლანკები. 94-ე საშუალო სკოლას

ფორმა № ა-4-ში ნაჩვენები არა აქვს მეორეწლიანთა რაოდენობა. სკოლების უმრავლესობას არ შეუვსია გრაფა, სადაც უნდა იყოს ნაჩვენები კლასკომპლექტები; არასწორად უჩვენებენ სასკოლო შენობათა ფართობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიროვის რაიონის 6 — 15 წლის ასაკის ბავშვთა აღრიცხვის ნაკრებ ანგარიშში სრულიად არ იყვნენ შეტანილი 6 წლის ასაკის ბავშვები; თბილისის განათლების განყოფილების მიერ მოხდენილი შემოწმების შემდეგ გამოირკვა, რომ სხვაობა უდრიდა 600-ს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქ. თბილისის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ორი თვის ვადაში მოიყვანონ სრულ წესრიგზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი სკოლების მასწავლებელთა პირადი საქმეები (სააღრიცხვო ბარათები, ავტობიოგრაფია, ფოტოსურათი, ბრძანების ამონაწერი დანიშვნის შესახებ და სხვ.) ყველა ცვლილების დროულად შეტანით. პირად საქმეში საბუთები დალაგებულ იქნეს განათლების სამინისტროს 1954 წლის ინსტრუქციის შესაბამისად;

ბ) არ დაუშვან სკოლებში სამუშაოდ მასწავლებლები განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე;

გ) აღკვეთონ სასწავლო დისციპლინებში საათების დაქუცმაცების შემთხვევები;

დ) მასწავლებლებისათვის მეთოდური დახმარებისა და მათ მუშაობაზე კონტროლის გაძლიერების მიზნით შეიტანონ ცვლილებები სკოლის ხელმძღვანელობის შემადგენლობაში ისე, რომ ყოველი სკოლის ხელმძღვანელთა შემადგენლობაში იყვნენ სხვადასხვა სპეციალობის მქონე მუშაკები;

ე) სიზუსტით დაიცვან დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა ტარიფიკაციის ვადები არსებული ინსტრუქციის შესაბამისად;

ვ) მასწავლებელთა პირად საქმეებში იქონიონ განათლების ცენზისა და პედაგოგიური მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ზ) ყურადღებით მოეკიდონ აღრიცხვიანობის საქმეს. ზუსტად დაიცვან სტატისტიკური მასალების წარმოდგენის ვადები;

თ) სრულ წესრიგში იქონიონ მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა შრომის წიგნაკები, შეუვსონ ისინი ყველა მუშაკს, ვისაც ასეთები

დღემდე არა აქვს; შეინახონ შრომის წიგნაკები, როგორც წესი, ცეცხლგამძლე ყუთში;

ი) აღრიცხონ ის მასწავლებლები, რომლებიც არ მუშაობენ, დაშვებული ინსტრუქციის შესაბამისად და ჩაატარონ მათთან თანადო მუშაობა.

2. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განათლების განყოფილებამ (ამხ. მათიაშვილი):

ა) სკოლის დირექტორების, სასწავლო ნაწილის გამგეებისა და მასწავლებელთა დანიშვნის, გადაყვანისა და განთავისუფლების ბრძანებათა პროექტები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წარმოადგინოს ცალკეული რაიონების მიხედვით;

ბ) გადაამოწმოს ქ. თბილისის რაიონებში სკოლის მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა ტარიფიკაციის სისწორე არა უგვიანეს ა/წ 15 ივლისისა;

გ) სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ხაზით ბრძანებები და ღონისძიებები გააფორმოს როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე და დაუგზავნოს ყველა სკოლას;

დ) დაავალოს სასკოლო ინსპექტორებს სკოლაში ამა თუ იმ საკითხის შემოწმების შემდეგ განათლების განყოფილებას წარუდგინოს გამაერთიანებელი მოხსენებითი ბარათი მათ მიერ ნარკვევი მასალების საფუძველზე.

3. გაფრთხილებულ იქნან კიროვის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. კუბლაშვილი და 26 კომისრის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ამხ. იავრიანი, რომ შემდგომში მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა ტარიფიკაციის საქმეში შეცდომების დაშვებისა და განათლების სამინისტროს ბრძანების გარეშე მასწავლებელთა სამუშაოზე გაგზავნის შემთხვევაში მათ მიმართ მიღებული იქნება სათანადო ზომები.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) და კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) გაუწიონ ზედამხედველობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობას.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 8 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ბ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 731

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 26 ივნისი

ასაკგადაცილებულ მოსწავლეთა კლასების მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საგრძნობი რაოდენობითაა ამა თუ იმ კლასისათვის სამი და მეტი წლით ასაკგადაცილებული მოსწავლეები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ უმცროს ამხანაგებზე და აფერხებენ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მოწოდების სიმაღლეზე დაყენების საქმეს.

აღნიშნული მდგომარეობის სალიკვიდაციოდ განათლების სამინისტრომ 1955 წლის 5 მარტს გამოსცა სპეციალური ბრძანება (№ 610), რომლითაც განათლების ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ ასაკგადაცილებული მოსწავლეებისათვის მასობრივ სკოლებთან ცალკე კლასების გახსნა. ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა ჩაატარეს ქ. ქუთაისის, თელავის რაიონის, ქ. თბილისისა და ქ. ბათუმის განათლების განყოფილებებმა (გამგეები — ამხ. ამხ. ი. ბალანჩივაძე, ა. ნადაშვილი, თ. მათიაშვილი, გ. ქათამაძე). მიმდინარე სასწავლო წლისათვის ქ. ქუთაისის რვა სკოლასთან შეიქმნა ასაკგადაცილებულთა 12 კლასი 322 მოსწავლით, თელავის რაიონის ოთხ სკოლასთან — რვა კლასი 176 მოსწავლით, ქ. თბილისის ხუთ სკოლასთან — ხუთი კლასი 119 მოსწავლით და ქ. ბათუმის სკოლებში — ცხრა კლასი 357 მოსწავლით.

პრაქტიკამ დაადასტურა ასაკგადაცილებულთა კლასების შექმნის დადებითი მნიშვნელობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში. კლასებში, რომლებიდანაც გაყვანილ იქნა ასაკგადაცილებული მოსწავლეები, განმტკიცდა დისციპლინა, გაიზარდა საშინაო დავალებების შესრულებისადმი მოს-

წავლეების პასუხისმგებლობა, აღმოიფხვრა უფროსებისადმი უხეში მიმართვებისა და უპასუხისმგებლობის შემთხვევები. შედარებით დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა თვით ასაკგადაცილებულთა კლასებში. ასაკითა და მომზადების დონით ერთნაირი მოსწავლეების თავმოყრამ პედაგოგიურ კოლექტივს მათზე ზემოქმედების მეტი საშუალება მისცა და თვით მოსწავლეებში გაზარდა პასუხისმგებლობის გრძნობა, ამაღლდა მათი მომზადების დონე.

ამასთანავე აღვნიშნავ, რომ ამ საქმეში დაშვებულია ზოგიერთი დამახინჯება. არის შემთხვევები, როცა აღნიშნულ კლასებში თავს უყრიან არა სამი და მეტი წლით, არამედ მოცემული კლასისათვის 1—2 წლით ასაკგადაცილებულებს, რაც სრულიად გაუმართლებელია (ქ. ბათუმი, ქ. თბილისი). განათლების მთელ რიგ ადგილობრივ ორგანოსა და სკოლის ხელმძღვანელებს არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამთ ასაკგადაცილებულ მოსწავლეთათვის ცალკე კლასების გახსნის უზრუნველსაყოფად. ეს ბრძანება განათლების ადგილობრივ ორგანოებს ავალებს ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის გაშლას V—VIII კლასების ასაკგადაცილებულ მოსწავლეთა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩასაბმელად და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების შესაბამის კლასებში მათ მოსაწყობად. განათლების ადგილობრივი ორგანოების ზოგიერთმა მუშაკმა და სკოლის ხელმძღვანელმა დაივიწყა ამ დავალების პირველი, მთავარი მხარე და დაადგა ასაკგადაცილებულთა თავიდან მოცილების იოლ გზას, მაშინ, როდესაც ასაკგადაცილებულობის მიზეზით, მოსწავლის სკოლიდან გაშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ აუცილებლად იქნება უზრუნველყოფილი არა მარტო რაიმე პრაქტიკულ საქმიანობაში, არამედ მუშა ან სოფლის ახალგაზრდობის სკოლაში მათი ჩაბმა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა:

1. ფართოდ გამოიყენონ ასაკგადაცილებულ მოსწავლეთათვის ცალკე სკოლების გახსნის საქმეში ქ. ქუთაისის, თელავის რაიონის, ქ. თბილისისა და ქ. ბათუმის სკოლების მოწინავე გამოცდილება და მომავალი, 1956—1957 სასწავლო წლისათვის უზრუნველყონ

განათლების სამინისტროს 1955 წლის 5 მარტის № 610 ბრძანების მოთხოვნათა განუხრელად შესრულება;

2. მომავალში არ დაუშვან ასაკგადაცილებულობის მიზეზით მოსწავლეთა სკოლიდან გარიცხვა;

3. ასაკგადაცილებულ მოსწავლეთა კლასებში მუშაობისას მტკიცედ იხელმძღვანელონ დებულებით „ასაკგადაცილებულთა სკოლებისა და კლასების შესახებ“;

4. მიმდინარე წლის 25 აგვისტოსათვის წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს ანგარიში ჩატარებული მუშაობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **ვ. ჯიბლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑ

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი გ. ჯიბლაძე

26 ივნისი, 1956 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების, სხვა სასწავლებლებისა და დაწესებულებების ბიბლიოთეკებიდან მოძველებული ლიტერატურის ამოღების შესახებ.

ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი უნდა შეიცავდეს მეცნიერულად, პოლიტიკურად და მხატვრულად ვარგის ლიტერატურას, რომელიც შეესაბამება მოზარდი თაობისა და მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური აღზრდის ამოცანებს. ამასთან დაკავშირებით ბიბლიოთეკების სისტემატური შემოწმება და მოძველებული ლიტერატურისაგან გაწმენდა წარმოადგენს მათი წიგნადი ფონდის სწორად მოწესრიგების აუცილებელ პირობას.

მოძველებული ლიტერატურისაგან ბიბლიოთეკების გაწმენდა წარმოებს წიგნადი ფონდის უშუალოდ გადასინჯვით და მოძველებულ გამოცემათა გამოვლინებით, აგრეთვე საკავშირო წიგნის პალატის მიერ გამოცემულ „მოძველებულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლებისა“ და საქართველოს სსრ მთავლიტის ბრძანებების მიხედვით.

I

1. ბიბლიოთეკათა წიგნადი ფონდის შემოწმება, მოძველებული ლიტერატურის გამოვლინება და გადარჩევა ხდება საკონსულტაციოდ ამ საქმეში ცალკეული დარგების სპეციალისტების ჩაბმით.

2. მოძველებული ლიტერატურის სწორად გადარჩევის საქმეში დახმარებისა და კონტროლისათვის დგება სპეციალური კომისია, რომელსაც ამტკიცებს სასწავლებლების (დაწესებულებების) ხელმძღვანელი.

წიგნადი ფონდის შემმოწმებელი კომისიების შემადგენლობაში შედიან ბიბლიოთეკის გამგე (ბიბლიოთეკარი ან მისი შემცვლელი), ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სასკოლო ბიბლიოთეკების ფონდიდან მოძველებული ლიტერა-

ტურის ამოღებას აკონტროლებს სათანადო განათლების განყოფილება.

3. ამოსაღები ლიტერატურის გადარჩევა დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს, საჭიროა ამოღებულ იქნეს ისეთი წიგნები, რომლებიც პოლიტიკური და მეცნიერული თვალსაზრისით ნამდვილად მოძველებულია. მაგალითად:

ა) სხვადასხვა პოლიტიკურ კამპანიასთან და აგრეთვე საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით გამოცემული ძველი წლების მოძველებული სააგიტაციო-მასობრივი ლიტერატურა;

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მოხსენებები, სიტყვები, გამოსვლები არ ამოიღება. იმ შემთხვევაში, როდესაც ბიბლიოთეკას თავის ფონდში დიდი რაოდენობით აქვს როგორც ძველი წლების გამოცემები, ისე ახალი გამოცემები, რომლებშიაც შეტანილია ეს სიტყვები, მოხსენებები და გამოსვლები, — ნებადართულია ძველი გამოცემების ზედმეტი ეგზემპლარების ჩამოწერა.

ბ) პარტიული განათლების ქსელისათვის გამოცემული მოძველებული სახელმძღვანელოები და მეთოდური ხასიათის წერილები;

გ) მასობრივი საცნობარო-იურიდიული ლიტერატურა, სადაც მოთავსებულია გაუქმებული კანონები, დებულებები, ინსტრუქციები, განმარტებები და სხვა;

კანონებისა და მთავრობის დადგენილებათა კრებულები არ ამოიღება.

დ) გაუქმებული სამხედრო წესდებები. დარიგებები, მოძველებული მასობრივი თავდაცვითი ხასიათის ლიტერატურა;

ე) მასობრივი ტექნიკური ლიტერატურა, მოძველებული და გაუქმებული ტექმინიმუმით და აგრეთვე მასობრივი სასოფლო-სამეურნეო და აგროტექნიკური ლიტერატურა, რომლებიც სოფლის მეურნეობის წარმოების მოძველებულ ფორმებსა და მეთოდებს ასახავს;

ვ) მოძველებული გამოუსადეგარი სახელმძღვანელოების, პროგრამებისა და მეთოდური მითითებების ზედმეტი ეგზემპლარები;

ზ) სსრ კავშირის ხალხთა ენებზე, ლათინური, არაბული და სხვა შრიფტებით დაბეჭდილი წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, რომლებიც გამოსულია ხმარებიდან, გარდა ისეთებისა, რომლებიც მეცნიერულ და ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენენ;

თ) გაზეთებისა და ჟურნალების ცალკეული ნომრები და ზედმეტი კომპლექტები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1.დაწყებითი, შვიდწლიანი და საშუალო სკოლების, პედსასწავლებლების, რაიონული პედკაბინეტების, ქალაქებისა და რაიონების სკოლის გარეშე დაწესებულებათა ბიბლიოთეკებში გაზეთების წლიური კომპლექტები, სავალდებულო წესით, უნდა ინახებოდეს 3 წლის განმავლობაში.

2. პედაგოგიური, მასწავლებელთა დახელოვნების, სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტებისა და ცენტრალური სკოლის გარეშე დაწესებულებათა ბიბლიოთეკებში გაზეთების წლიური კომპლექტი უნდა ინახებოდეს არანაკლები 5 წლისა.

4. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებების, სკკპ, საკავშირო ალკკ ყრილობებისა და კონფერენციების, საბჭოების ყრილობების, ცაკ-ის, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიების, პროფკავშირთა საკავშირო ყრილობებისა და პროფკავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭოს პლენუმების, კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმების სტენოგრაფიული ანგარიშების, დიდი, მცირე და სხვა ენციკლოპედიების ძველი გამოცემების ამოღება აკრძალულია.

5. ბიბლიოთეკის მიერ გადარჩეულ მოძველებულ გამოცემებს ამოწმებს კომისია, რომელიც მათი ამოღების შესახებ ადგენს აქტს ორ ცალად. აქტი დასამტკიცებლად ეგზავნება სათანადო განათლების განყოფილებას.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებების (სასწავლებლების) ბიბლიოთეკათა მოძველებული ლიტერატურის ამოსაღებ აქტს ამტკიცებენ დაწესებულებების ხელმძღვანელები.

აქტი წიგნების ამოღების შესახებ დგება თანდართული ფორმის მიხედვით. მოძველებული ლიტერატურის სია უნდა შედგეს აუცილებლად ავტორის გვარისა ან წიგნის დასახელების ალფაბეტური წესით.

6. სამეცნიერო-კვლევითი, მასწავლებელთა დახელოვნების, პედაგოგიური სამასწავლებლო ინსტიტუტების ბიბლიოთეკებში § 3-ით მითითებული ლიტერატურა ამოიღება ბიბლიოთეკის დამხმარე ფონდიდან (აბონემენტიდან, სამკითხველოდან) და ერთიორი ცალი, საჭიროების მიხედვით მეტიც, ინახება ძირითად წიგნ-

საცავში. ზედმეტი ეგზემპლარები კი ჩამოიწერება როგორც მაკულატურა.

7. მოძველებული ლიტერატურის აქტი სიით, რომელიც დამტკიცებულია ზემდგომი დაწესებულებების მიერ, წარმოადგენს ბიბლიოთეკის საინვენტარო სიიდან ამ წიგნების ამოღების, ამოღებული ლიტერატურის ღირებულების ბალანსიდან ჩამოწერისა და მაკულატურაში გადაცემის საფუძველს.

8. სკოლების, სასწავლებლებისა და სხვა დაწესებულებების ბიბლიოთეკებიდან მოძველებული ლიტერატურის ამოსაღებად, გარდა ზემოთმითითებული მუშაობისა, სისტემატურად წარმოებს იმ ლიტერატურის ამოღება, რომელიც მოძველებულია (გაცვეთა, დაკარგვა ფურცლებისა, რომელთა აღდგენა შეუძლებელია და სხვ.).

ასეთი ლიტერატურის ჩამოწერა ხდება ზემოთ აღნიშნული წესების დაცვით.

II

9. საკავშირო წიგნის პალატის მიერ გამოცემულ „მოძველებულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებელში“, „შეჯამებულ სიებსა“ და საქართველოს სსრ მთავლიტის ბრძანებებში ალფაბეტური წესით მოცემულია წიგნებისა და გამოცემების დასახელება, რომელთა ამოღება სასწავლებლების (დაწესებულებების) ბიბლიოთეკების ფონდიდან სავალდებულოა.

10. „მოძველებულ გამოცემათა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები“ და საქართველოს სსრ მთავლიტის ბრძანებები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ ეგზავნება ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ა/ო, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებებს.

11. ასსრ განათლების სამინისტროები, ოლქის, რაიონის, ქალაქის განათლების განყოფილებები ამ დოკუმენტებს ატარებენ რეგისტრაციაში და სასწრაფო წესით უგზავნიან ქვემდებარე დაწესებულებებს, აწესებენ მათთვის რიგს და მათი გამოყენების ვადებს. „მაჩვენებლები“ და ბრძანებები ტარდება „მოძველებულ გამოცემათა სიის სააღრიცხვო წიგნში“ შემდეგი ფორმით:

1. მიღების რიცხვი, თვე და წელი;
2. დასახელება;
3. გამოცემის ნომერი;
4. დაწესებულებების დასახელება, რომლებსაც „მაჩვენებელი“

(ბრძანება) ეგზავნება;

5. სასწავლებლისათვის (დაწესებულებისათვის) „მაჩვენებლის“ (ბრძანების) დაგზავნის თარიღი.

12. „მაჩვენებლისა“ და მთავლიტის ბრძანების მიხედვით წიგნებისა და ბიბლიოთეკის კატალოგიდან ამ წიგნების ბარათების ამოღება ხდება დაუყოვნებლივ, „მაჩვენებლის“ ან ბრძანების მიღებისთანავე.

ერთი სასწავლებლის (დაწესებულების) ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შემოწმების შემდეგ „მაჩვენებლის“, ბრძანების მორიგი ნომერი განათლების განყოფილების მითითებით გადაეცემა მეორე სასწავლებელს (დაწესებულებას) და ა. შ.

შემოწმების დამთავრების შემდეგ „მაჩვენებელი“, ბრძანება უბრუნდება განათლების განყოფილებას, სადაც იგი ინახება როგორც ფულადი დოკუმენტი.

13. ფონდების გულმოდგინედ შემოწმებისა და „მაჩვენებლის“, ბრძანების მიხედვით ბიბლიოთეკებიდან მოძველებული ლიტერატურის დროულად ამოღებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პირადად სასწავლებლის (დაწესებულების) ხელმძღვანელს.

14. „მაჩვენებლის“, ბრძანების მიხედვით გადარჩეულ მთელ ლიტერატურაზე დგება აქტი ორ ცალად თანდართული ფორმის მიხედვით.

აქტის ორივე ეგზემპლარი დასამტკიცებლად ეგზავნება სათანადო განათლების განყოფილებას. აქტის ერთი ცალი დამტკიცების შემდეგ უბრუნდება სასწავლებელს (დაწესებულებას). აქტი ბიბლიოთეკის ინვენტარიდან წიგნების ამოღების, მათი ღირებულების ბალანსიდან ჩამოწერისა და მაკულატურად გადაცემის საფუძვლად ითვლება. აქტის მეორე ეგზემპლარი რჩება განათლების განყოფილების საქმეში.

თუ შემოწმების შედეგად არ აღმოჩნდა ამოსაღები ლიტერატურა სასწავლებელი (დაწესებულება) ვალდებულია წარმოუდგინოს ზემდგომ დაწესებულებას შემდეგი ფორმის აქტი:

რიცხვი, თვე, წელი, დაწესებულების დასახელება....

მოხდა „მაჩვენებლის“ (ბრძანების) №—— მიხედვით წიგნადი ფონდის შემოწმება. ამოსაღები წიგნები არ აღმოჩნდა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მოძველებული ლიტერატურის აქტს რესპუბლიკური დაქვემდებარების სასწავლებელში, დაწესებულებაში ამტკიცებს სასწავლებლის, დაწესებულების ხელმძღვანელი.

15. დაწესებულებათა ხელმძღვანელები ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შემოწმებისას საეჭვო ლიტერატურის გამოვლინების შემთხვევაში ვალდებული არიან ამის შესახებ აცნობონ მთავლიტის ადგილობრივ ორგანოებს და იმოქმედონ მათი მითითებით.

16. ბიბლიოთეკების გამგეები (ბიბლიოთეკარები) ვალდებული არიან საქმეების მიღება-გადაბარების დროს აქტით გადასცენ და ჩაიბარონ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაწმენდის მასალა.

17. „მაჩვენებლების", ბრძანებების მიხედვით წიგნადი ფონდის გაწმენდაზე კონტროლსა და ხელმძღვანელობას ახორციელებს ასსრ განათლების სამინისტროები, ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებები.

18. ანგარიში „მაჩვენებლების", ბრძანებების მიხედვით წიგნადი ფონდის შემოწმების და მოძველებული ლიტერატურის ამოღების მიმდინარეობის შესახებ, მოთხოვნის შემთხვევაში, ეგზავნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

ბიბლიოთეკათა გამგეებს (ბიბლიოთეკარებს) ჩამოწერილი ლიტერატურა პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ მოყავთ სახმარად უვარგის მდგომარეობაში და აქტით აბარებენ მაკულატურას.

მაკულატურიდან მიღებული ქვითარი დაერთვის აქტს და ითვლება ჩაბარებული წიგნების ღირებულების ბალანსიდან ჩამოწერის საფუძვლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
აქტის დამმტკიცებელი პირის
ხელის მოწერა
დამტკიცების თარიღი
თვე, წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა ქ ტ ი

„_____" _____ 195 წ. კომისიამ _____
(აქტის შემდგენ

_____
პირთა გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა)

შემადგენლობით შევადგინეთ ეს აქტი _____
ბიბლიოთეკიდან _____ წიგნის _____ ჟურნალის
ამოღების შესახებ საერთო თანხით _____ მან. _____ კაპ. ____
ამოღების მიზეზი _____

№№ რიგ.	ამოღებულ/გამოცემათა საინვენტარო №№	ავტორი და სახელწოდება	გამოცემის წელი და ადგილი	გვერდების რაოდენობა	ფასი		ამოღების მიზეზი
					მან.	კაპ.	
1	2	3	4	5	6		7

კომისიის წევრთა ხელის მოწერა

УТВЕРЖДАЮ
Министр просвещения
Грузинской ССР
Г. Джибладзе
20/VI 1956 г.

ИНСТРУКЦИЯ

о порядке изъятия устаревшей литературы из библиотек школ и других учебных заведений и учреждений Министерства просвещения Грузинской ССР

Книжные фонды библиотек должны содержать в себе литературу, ценную в научном, политическом и художественном отношении, соответствующую задачам коммунистического воспитания подрастающего поколения и широких масс трудящихся. В связи с этим систематическая проверка библиотек и изъятие устаревшей литературы является необходимым условием правильной организации фондов библиотек.

Работа по изъятию устаревшей литературы производится путем непосредственного просмотра книжных фондов и выявления устаревших изданий, а также путем проверки их по „Библиографическим указателям устаревших изданий", издаваемым Всесоюзной книжной палатой, по приказам Главлита Грузинской ССР.

I.

1. Проверка книжного фонда, выявление и отбор устаревшей литературы в библиотеках школ, учебных заведений и учреждений проводится с привлечением для консультации специалистов по отдельным отраслям знания.

2. Для оказания помощи и контроля за правильностью отбора устаревшей литературы в школах и других учебных заведениях и учреждениях создается спецнальная комиссия, утвержденная руководителями учебных заведний (учреждений).

В состав комиссий по проверке книжного фонда входят заведующий библиотекой (библиотекарь или лицо его заменяющее) представители от администрации и общественных организаций.

Организация проверки и изъятие устаревшей литературы из фондов библиотек школ и других учреждений производится под контролем соответствующих отделов народного образования.

3. К отбору подлежащей изъятию литературы следует относиться с большой ответственностью. Должны изыматься книги, явно устаревшие в политическом и научном отношениях. Например:

а) устаревшую агитационно-массовую литературу прошлых лет, изданную к различным политическим компаниям, а также по вопросам международного положения.

Доклады, речи, выступления руководителей партии и правительства исключению не подлежат. В том случае, если библиотека имеет в своих фондах чрезмерно большое количество этих изданий за прошлые годы и имеет новые издания, в которых эти речи, доклады и выступления включены, разрешается излишние экземпляры старых изданий списывать;

б) устаревшие учебные пособия и методические разработки, изданные для сети партпросвещения;

в) массовую справочно-юридическую литературу, содержащую отмененые законы, положения, инструкции, разъяснения и т. д. Собрание Законов, Сборник Постановлений Правительства исключению не подлежат;

г) отмененные военные уставы, наставления, устаревшую массовую оборонную литературу;

д) массовую техническую литературу с устаревшими и отмененными техминимумами, а также массовую сельскохозяйственную и агротехническую литературу, излагающую устаревшие формы и методы ведения сельского хозяйства;

е) излишние экземпляры уставевших непригодных для занятий учебников, программ и методических пособий;

ж) книги, журналы, газеты на языках народов СССР, напечатанные латинским, арабским и другими шрифтами, вышедшими из употребления, за исключением изданий, представляющих научную и историческую ценность;

з) излишние комплекты и разнозненные номера журналов и газет.

Примечание: 1. В библиотеках начальных, семилатних и средних школ, педучилищ, районных педкабинетов, городских и районных внешкольных учреждений годовые комплекты газет хранятся в обязательном порядке в течение 3-х лет.

2. В библиотеках педагогических институтов, института усовершенствования учителей, научно-исследовательских институтов, центральных внешкольных учреждениях годовые комплекты газет хранятся не менее 5 лет.

4. Запрещается изымать произведения классиков марксизма-ленинизма, стенографические отчеты съездов и конференций КПСС, ВЛКСМ, съездов Советов, Сессии ЦИК, Верховных Советов СССР и союзных республик, Всесоюзных съездов профсоюзов и пленумов ВЦСПС, Конгресов Коминтерна и пленумов ИККИ, старые издания Большой, Малой и других энциклопедий.

5. Отобранные библиотекой устаревшие издания просматриваются комиссией, которая после этого составляет в двух экземплярах акт на изъятие. Акт направляется на утверждение соответствующего высшестоящего отдела народного образования.

Примечание: По учреждениям (учебным заведениям) республиканского подчинения акты на изъятие устаревшей литературы утверждается руководителем учреждения.

Акты на изъятие книг составляется по форме согласно приложению. Список устаревшей литературы составляется обязательно в алфавитном порядке авторов или заглавий книг.

6. В библиотеках научно-исследовательских институтов, института усовершенствования учителей, педагогических и учительских институтов, указанная § 3 устаревшая литература изымается из подсобных фондов библиотеки (абонемента, читального зала) и в одном—двух экземплярах и более, в зависимости от потребности, сохраняется в основном

книгохранилище. Лишние экземпляры списываются в макулатуру.

7. Утвержденные вышестоящим учреждением акты со списками устаревшей литературы являются основанием для исключения книг из инвентарей библиотек, списания с баланса стоимости исключенной литературы и передачи книг в макулатуру.

8. Кроме указанной выше работы по очищению от устаревшей литературы книжных фондов библиотек школ, учебных заведений и других учреждений народного образования, в библиотеках систематически проводится изъятие литературы, пришедшей в ветхость (изношенность книг, утеря страниц, восстановление которых не представляется возможным, и т. д.).

Списание этой литературы производится в порядке, указанном выше.

II.

9. В „Библиографических указателях устаревших изданий", в „сводных списках", издаваемых Всесоюзной Книжной Палатой и в приказах Главлита Грузинской ССР дается в алфавитном порядке перечень книг и изданий, подлежащих обязательному исключению из фондов библиотек учреждений (учебных заведений).

10. „Библиографические указатели устаревших изданий" и приказы Главлита Грузинской ССР рассылаются Министерством просвещения Грузинской ССР Министерствам просвещения АССР, областному, городским и районным отделам народного образования.

11. Министерства просвещения АССР, Областной ОНО, городские, районные отделы народного образования эти документы регистрируют и в кратчайший срок рассылают по подведомственным учреждениям, устанавливая для них строгую очередность и сроки пользования ими.

„Указатели" и приказы регистрируются в „книге учета списков устаревших изданий" по форме:

1. дата получения;
2. название;

3. номер выпуска;

4. название учреждений, которым отправляются указатели;

5. дата отправления „Указателя“ (приказа) учебному заведению (учреждению) и срок, установленный для проверки.

12. Исключение книг по указателям устаревших изданий и по приказам Главлита, а также карточек на эти книги и каталогов библиотеки производится немедленно по получении очередного номера „Указателя“ и приказа.

После проверки книжных фондов в библиотеке одного учебного заведения (учреждения) очередной номер указателя (приказа) передается по указанию ОНО другому учебному заведению (учреждению) своей системы.

По завершении проверки „Указатель“ и приказ возвращаются в горОНО, РОНО и хранятся наравне с денежными документами.

13. Ответственность за тщательность проверки фондов и своевременное изъятие из библиотек книг по каждому указателю несут лично руководители учебных заведений (учреждений) народного образования.

14. На всю отобранную по указателям (приказам) литературу составляются акты в двух экземплярах по форме, согласно приложению.

Оба экземпляра акта направляются для утверждения в вышестоящий отдел народного образования, которому подведомственно данное учебное заведение (учреждение). Один экземпляр акта после утверждения возвращается в учебное заведение (учреждение) и является основанием для исключения книг из инвентаря библиотеки, списания с баланса стоимости исключенной литературы и передачи ее в макулатуру. Второй экземпляр акта остается в делах вышестоящего отдела народного образования.

Если в результате проверки не обнаружено литературы, подлежащей изъятию, учебные заведения (учреждения) обязаны представлять вышестоящему учреждению акт по следующей форме:

число, месяц, год, наименование учреждения . . .

Проведена проверка по указателю (приказу) № . . . книг, подлежащих изъятию, не обнаружено.

Примечание: По учебным заведениям (учреждениям) республиканского подчинения акты на исключение устаревшей литературы утверждаются руководителями учреждения.

15. Руководители учреждений народного образования о выявленной при проверке библиотечных фондов литературе, вызывающей сомнение, должны ставить в известность местные органы Главлита и в дальнейшем действовать по их указаниям.

16. Заведующие библиотеками (библиотекари) при приеме и сдаче дел обязаны принимать по акту папки с материалами по очищению книжных фондов библиотек.

17. Контроль за организацией очищения книжных фондов библиотек по указателям устаревших изданий и по приказам Главлита осуществляют Министерства просвещения АССР, областной ОНО, городские, районные отделы народного образования.

18. Отчеты о ходе проверки книжных фондов, и изъятия устаревшей литературы по „Указателям", представляются Министерству просвещения Грузинской ССР по требованию.

Под ответственность заведующих библиотеками (библиотекарей) литература, подлежащая списанию, приводится в непригодное для использования состояние и сдается по акту непосредственно или через районный (городской) отдел народного образования учреждениям, занимающимся сбором вторичного сырья.

Квитанция, полученная за макулатуру, прилагается к акту и служит основанием для списания стоимости сданных в макулатуру книг с баланса.

Приложение

УТВЕРЖДАЮ

Подпись лица, утверждающего акт.
Дата утверждения, число, месяц, год.

А К Т

„____" _____ 195 г. Комиссия_____
(фамилия, имя,

_____
отчество и должность лиц, участвующих в составлении акта)

составила настоящий акт об исключении из библиотеки____

_____ книг в количестве _____

экз., журналов_____ экз. на общую сумму

_____ руб.____коп. по причине_____

№№ п/п	Инвен. №№ выбывших изданий	Автор и заглавие	Год и место издания	Количество страниц	Цена		Причина изъятия
					руб.	к.	
1	2	3	4	5	6		7

Подпись членов комиссии:

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**
21 ივლისი 1956 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მითითებანი

მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ

მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო წინადადებას იძლევა ამ ტიპის სკოლებმა იხელმძღვანელონ შემდეგით:

1. მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მიიღებიან ორივე სქესის 15 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქენი, რომლებიც მუშაობენ წარმოებებში, ტრანსპორტზე, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე ომისა და შრომის ინვალიდები.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა:

ა) სახელოსნო სასწავლებლებისა და პროფსკოლების მოსწავლეები მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მიიღებიან შესაბამისი სასწავლებლის დირექტორის წერილობითი ნებართვით;

ბ) ის პირები, რომლებიც არ მუშაობენ, მუშა ახალგაზრდობის სკოლების დაწყებით კლასებში მიიღებიან იმ შემთხვევაში, თუ ისინი ასაკის მიხედვით არ შეეფერებიან მასობრივი სკოლების შესაბამის კლასებს;

გ) მუშა ახალგაზრდობის სკოლებში, საერთო წესების საფუძველზე, მიიღებიან აგრეთვე დიასახლისები.

2. მუშა ახალგაზრდობის დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლების როგორც დაკომპლექტებულ, ისე ახლად გახსნილ კლასებში მოსწავლეთა მიღება წარმოებს ყოველწლიურად, თვითეული სკოლისათვის სახალხო სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული კონტინგენტის ფარგლებში.

3. სასწავლო წლის დასასრულს სკოლის დირექტორი (გამგე), სკოლის მოსწავლეთა რაოდენობისა და შემდეგი სასწავლო წლის კონტინგენტის სახალხო სამეურნეო გეგმის საფუძველზე, განსაზღვრავს რომელ კლასში მოსწავლეთა რა რაოდენობა უნდა იქნას მიღებული და ამის შესაბამისად აცხადებს სკოლაში მიღებას.

4. ახალი ნაკადის მიღება მუშა ახალგაზრდობის სკოლებში ცხადდება 1-ლი აპრილიდან; სკოლაში ახალგაზრდების ჩასაბმელად სკოლის დირექტორი, საწარმოს ადმინისტრაციასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, საწარმოებში აწარებს ახსნა-განმარტებითს მუშაობას, აქვეყნებს განცხადებებს, სარგებლობს ახალგაზრდობის კრებებით, ადგილობრივი გაზეთით და რადიოსატრანსილაციო ქსელით.

5. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში შემსვლელი პირი სკოლაში მიღების შესახებ განცხადებასთან ერთად წარადგენს შემდეგ საბუთებს:

ა) სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ მოწმობას ან ცნობას განათლების შესახებ;

ბ) ცნობას მუშაობის ადგილის შესახებ და დახასიათებას;

გ) ცნობას საცხოვრებელი ადგილის შესახებ;

დ) დაბადების მოწმობას;

ე) სამკურნალო დაწესებულების ცნობას ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

6. სკოლაში შემსვლელის განცხადებას და დოკუმენტებს ღებულობს პირადად სკოლის დირექტორი (გამგე) ან სასწავლო ნაწილში მისი მოადგილე.

მუშა ახალგაზრდობის სკოლაში ჩარიცხვის შესახებ განცხადებათა მიღება წყდება 20 აგვისტოს.

7. ის პირები, რომლებიც სკოლაში შესვლისას განცხადებასთან ერთად ვერ წარადგენენ დოკუმენტს განათლების შესახებ, აბარებენ შესასვლელ გამოცდებს წინა კლასის პროგრამით შემდეგ საგნებში: V, VI და VII კლასებში — მშობლიურ ენაში, რუსულ ენასა და მათემატიკაში (წერითი);

VIII-IX-X კლასებში: მშობლიურ ენაში (წერითი), რუსულ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში, ფიზიკასა და ქიმიაში (ზეპირი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მუშა ახალგაზრდობის სკოლის XI კლასში შემსვლელი პირებისათვის განათლების შესახებ საბუთის წარდგენა აუცილებელია.

8. ის პირები, რომლებიც წარადგენენ დოკუმენტებს განათლების შესახებ, მაგრამ სწავლაში სამ წელზე მეტი წყვეტა აქვთ, აბარებენ მისაღებ გამოცდებს წინა კლასების პროგრამით შემდეგ საგნებში:

V-VI-VII კლასებში — მშობლიურ ენაში (წერითი), რუსულ ენაში (წერითი) და არითმეტიკაში (ზეპირი);

VIII კლასში: მშობლიურ ენაში (წერითი), რუსულ ენაში (წერითი) და არითმეტიკაში ალგებრით (წერითი);

IX კლასში: მშობლიურ ენაში (წერითი), რუსულ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი) და გეომეტრიაში (ზეპირი);

X კლასში: მშობლიურ ენაში (წერითი), რუსულ ენაში (წერითი), ალგებრაში (წერითი) და გეომეტრიაში (ზეპირი);

XI კლასში: მშობლიურ ენაში (ზეპირი), რუსულ ენაში (წერითი), მშობლიურ ლიტერატურაში (ზეპირი), რუსულ ლიტერატურაში (ზეპირი), ალგებრაში (წერითი), გეომეტრიაში (ზეპირი), ქიმიაში (ზეპირი) და ფიზიკაში (ზეპირი).

მუშა ახალგაზრდობის სკოლების დაწყებით კლასებში შემსვლელ პირთა ჩარიცხვა წარმოებს მათთან გასაუბრების საფუძველზე.

9. მისაღები გამოცდები ტარდება 20-დან 30 აგვისტომდე.

მოსწავლეთა ჩარიცხვა მუშა ახალგაზრდობის სკოლებში წარმოებს შესასვლელი გამოცდების დამთავრების შემდეგ. ის პირები, რომლებმაც ერთ ან ორ საგანში მიიღეს არადამაკმაყოფილებელი შეფასება, შეიძლება ჩაირიცხონ მხოლოდ იმ კლასებში, რომლებსაც შეეფერება მათი ცოდნის ფაქტიური დონე.

სასწავლო წლის დაწყების შემდეგ მუშა ახალგაზრდობის სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა, ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლის ან საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემთხვევის გარდა, შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნებართვით.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: XI კლასში მოსწავლის ჩარიცხვისათვის ყველა შემთხვევაში განათლების სამინისტროს ნებართვაა საჭირო.

10. მუშა ახალგაზრდობის სკოლებში შემსვლელთა მისაღები გამოცდებისათვის მოსამზადებლად ახალი სასწავლო წლის მზადების პერიოდში ტარდება კონსულტაციები.

11. მისაღები გამოცდების დროს წერითი სამუშაოს სახეები უნდა შედგებოდეს: ქართულ ენაში (სათანადო კლასისათვის განკუთვნილი წერითი მუშაობის სახეების მიხედვით), რუსულ ენაში (კარნახი ყველა კლასში), მათემატიკაში — VIII, IX, X და XI კლასებში შემსვლელთათვის — ერთი ამოცანა და ორი მაგალითი.

12. ზეპირი გამოცდები ტარდება სკოლაში შემსვლელის ინდივიდუალური გამოკითხვის წესით.

13. მისაღები გამოცდების ჩასატარებლად წერითი სამუშაოს ტექსტს, კითხვებს, ამოცანებსა და მაგალითებს ამზადებს შესაბამისი საგნის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი (გამგე).

14. მისაღები გამოცდები ტარდება სკოლის დირექტორის (გამგის) მიერ დამტკიცებული ცხრილით, ამასთან, ჯგუფში ერთ დღეს შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი გამოცდა. საგამოცდო ცხრილი სკოლაში ქვეყნდება გამოცდების დაწყებამდე 5 დღით ადრე.

15. მუშა ახალგაზრდობის სკოლაში შემსვლელს თვითეულ საგანში ცდის სათანადო საგნის მასწავლებელი და ასისტენტი, რომელსაც ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

16. მისაღები გამოცდების შედეგებს იხილავს სკოლის პედაგოგიური საბჭო.

შესაბამის კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით და ფორმდება სკოლის დირექტორის ბრძანებით.

შენიშვნა:

ა) სკოლაში ვაკანტური ადგილების სიმცირის შემთხვევაში ჩარიცხვისას უპირატესობა ეძლევათ გამოცდების წარმატებით ჩამბარებლებს და წარმოების მოწინავეებს;

ბ) ტექნიკუმებისა და სხვა სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეები ან ამ ტიპის სასწავლებელდამთავრებული ახალგაზრდები, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლადამთავრებულები მუშა ახალგაზრდობის სკოლებში არ მიიღებიან;

გ) მასობრივი სკოლებიდან გარიცხული მოსწავლეები მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მიიღებიან გარიცხვის ვადის გასვლის შემდეგ იმ პირობით, თუ ისინი მუშაობენ წარმოებაში.

17. სკოლაში ახალმიღებულ თვითეულ მოსწავლეზე უნდა შედგეს პირადი საქმე.

ამ მითითებათა გამოცემასთან დაკავშირებით უქმდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1955 წლის 15 იანვარს დამტკიცებული „მითითებანი მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ“.

სკოლების სამმართველოს მუშა და სოფლის ახალგაზრდობის
სკოლების განყ. უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 1062

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

1956 წლის 27 ივლისი

X სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტმა მიმდინარე წლის 25—28 ივნისს ჩაატარა X სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენცია. ამ კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები ძირითადად მიძღვნილი იყო სკკპ XX ყრილობისა და აგრეთვე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის მიერ სკოლისა და პედაგოგიკურ მეცნიერებათა წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტისადმი. მოხსენებათა მნიშვნელოვანი ნაწილი ეხებოდა სწავლებისა და აღზრდის ისეთ სადღეისო საკითხებს, როგორიცაა პოლიტექნიკური სწავლების განხორციელების გზები და საშუალებანი, მოსწავლეთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა, შეგნებული დისციპლინის აღზრდის საშუალებანი სკოლასა და ოჯახში, მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეთოდური დახელოვნება, ცალკეულ დისციპლინათა სწავლება და სხვ.

ამ მოხსენებათა უმეტესი ნაწილი იანვრის არდადეგების დროს წაკითხულ იქნა რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ჩატარებული „პედაგოგიური კითხვის“ დროს. X სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის წარმოდგენილ 260-ზე მეტი მოხსენებიდან კონფერენციის დღის წესრიგში შეტანილ იქნა 140 მოხსენება. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად რაიონებიდან მოწვეულ იყო 110 კაცი. გარდა ამისა, სექციების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა თბილისის მასწავლებლობა და თბილისში მასწავლებელთა დახელოვნების კურსებზე მყოფი სკოლის მუშა-

კები. სულ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 350-მდე კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელს პირველად კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს აზერბაიჯანის და სომხეთის სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის წარმომადგენლებმა.

კონფერენციის პლენალურ და სექციურ სხდომებზე წაკითხულ იქნა 116 მოხსენება, მათ შორის მასწავლებლების მიერ—72.

X სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის კარგად მოემზადნენ და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ; ქალაქების: თბილისის, რუსთავის, ქუთაისის და ფოთის, თელავის, სიღნაღის, ახალციხის, მახარაძის, ცხაკაიას რაიონების მასწავლებლებმა; აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, პუშკინის სახელობის თბილისის, გორის, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტების და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაკებმა.

აღსანიშნავია, რომ გასული წლების მსგავსად კონფერენციის მუშაობაში კვლავ სუსტად მონაწილეობდნენ რესპუბლიკის სხვა რაიონების მასწავლებლები და პედაგოგიური ინსტიტუტის მუშაკები.

XI სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის უფრო მაღალხარისხოვნად მომზადებისა და ჩატარებისათვის ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს აქედანვე გაატარონ სათანადო ზომები „პედაგოგიურ კითხვაში“ მასწავლებელთა ფართოდ ჩაბმისათვის.

2. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მომავალი „პედაგოგიური კითხვა“ ჩატარდეს 1957 წლის იანვრის არდადეგების, ხოლო XI სამეცნიერო პედაგოგიური კონფერენცია საგაზაფხულო (მარტის) არდადეგების დროს.

„პედაგოგიურ კითხვაზე“ მოწონებული საუკეთესო მოხსენებები არა უგვიანეს 1957 წლის 1 თებერვლისა გადაეგზავნოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტს XI სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციისათვის.

3. დაევალოს სახელმწიფო პედაგოგიური და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების დირექტორებს სისტემატური დახმარება გაუწიონ რაიონებსა და ქალაქებში მომუშავე მასწავლებ-

ლებს „პედაგოგიური კითხვისათვის“ შერჩეული თემების მაღალხარისხოვნად დამუშავებისა და „პედაგოგიური კითხვის“ უკეთ წაკითხვებაში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე პედაგოგიური ინსტიტუტების პედაგოგიკისა და მეთოდიკების კათედრებზე სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმით შესრულებული საუკეთესო. ნაშრომების წაკითხვა-განხილვას.

4. პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა: ა) 1957 წელს გამოსცეს X სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წაკითხული და დასაბეჭდად მოწონებული მოხსენებები ცალკე კრებულების სახით; ბ) დაამუშაოს „პედაგოგიური კითხვის“ ახალი თემატიკა და გამოსცეს იგი 1957 წლის მარტისათვის.

5. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ და ჟურნალმა „კომუნისტური აღზრდისათვის“ ფართოდ გააშუქონ „პედაგოგიური კითხვისა და სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის მუშაობა, გამოაქვეყნონ მასწავლებელთა საუკეთესო მოხსენებები და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გავრცელებას.

6. X სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციაზე წარმოდგენილი საუკეთესო მოხსენებებისათვის, რომლებიც ასახავს მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას და სწავლა-აღზრდის საქმის შემდგომ გაუმჯობესებას ემსახურება, გამოეცხადოს მადლობა შემდეგ მასწავლებლებს:

პედაგოგიკის სექციაში

1. ა. ბექაიას (ბათუმის მე-13 საშუალო სკოლა),

2. ა. რამიშვილს (მახარაძის რაიონი) ცხემლისხიდის საშუალო სკოლა;

3. ვ. მ. ბაშინჯაღოვს (სიღნაღის I საშ. სკოლა);

4. ჭ. კასრაძეს (დუშეთის რაიონის ფასანაურის საშუალო სკოლა);

5. თ. სიყმაშვილს (სიღნაღის მე-2 საშუალო სკოლა) და 6. გ. კომახიძეს (ქობულეთის რაიონის სოფ. აჭყვისთავის საშუალო სკოლა);

ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების სექციაში

1. ი. ნებაძეს (ახალციხის რაიონის სოფ. მინაძის რვაწლიანი სკოლა), 2. ტ. სულაბერიძეს (ვანის რაიონის სალხინოს საშუალო სკოლა), 3. მ. დოჭვირს (თბილისის 55-ე საშუალო სკოლა) 4. ა. გა-

დილიას (სოხუმის რაიონის სოფ. შრომის საშუალო სკოლა) და 5. შ. ქურდაძეს (ხაშურის რაიონის სოფ. ქემფერის რვაწლიანი სკოლა);

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკების სექციაში

1. დ. კუხალეიშვილს (თბილისის მე-5 საშუალო სკოლა), 2 ტ. ზემლიანაიას (თბილისის მე-17 საშუალო სკოლა), ვ. ე. პასოხოვას (თელავის საშუალო სკოლა), 4. ვ. ჭაჭიაშვილს (ზესტაფონის I-ლი საშუალო სკოლა);

უცხო ენების მეთოდიკების სექციაში

1. ქ. ანთაძეს (თბილისის 39-ე საშუალო სკოლა), 2. ი. ბერიშვილს (სიღნაღის რაიონის ქვ. ბოდბის საშუალო სკოლა);

ისტორიის მეთოდიკის სექციაში:

1. ნ. დოლიძეს (ჩოხატაურის საშუალო სკოლა), 2. ვ. ძიგუას (გალის რაიონის სოფ. საბერიოს საშუალო სკოლა);

გეოგრაფიის მეთოდიკის სექციაში

1. ლ. პერტენავას (აბაშის რაიონის სოფ. ონტოფოს საშ. სკოლა);

ფიზიკა-მათემატიკის მეთოდიკების სექციაში

1. ბ. ბარამიძეს (ფოთის მე-2 საშ. სკოლა), 2. ვ. ჯაფარიძეს (თბილისის 49-ე საშუალო სკოლა), 3. ვ. ტუშურაშვილს (რუსთავის I-ლი საშუალო სკოლა), 4. ვ. გოგრიჭიანს (ზესტაფონის I-ლი საშუალო სკოლა);

ქიმიის მეთოდიკის სექციაში

1. თ. ვაშაძეს (რუსთავის I-ლი საშუალო სკოლა), 2. ე. სულავას (ქუთაისის მე-18 საშუალო სკოლა), ვ. თ. ჭოჭუას (ფოთის I-ლი საშუალო სკოლა);

ბიოლოგიის მეთოდიკის სექციაში

1. ქ. კოპაძეს (ახალციხის რაიონის სოფ. კლდის რვაწლიანი სკოლა), 2. კბილაშვილს (თელავის რაიონის სოფ. ვანთის საშუალო სკოლა); 3. კ. ტყაბლაძეს (ქუთაისის 24-ე საშუალო სკოლა);

შრომითი-პოლიტექნიკური სწავლების მეთოდიკის
სექციაში

1. ლ. ჭავჭანიძეს (სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლა), 2. თ. ძნელაშვილს (სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო მაღაროს საშ. სკოლა), 3. ა. მიხაილიჩენკოს (ბათუმის მე-16 საშუალო სკოლა).

7. ეს ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებასა“ და განათლების სამინისტროს ბრძანებათა და განკარგულებათა მორიგ კრებულში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1956 წლის 20 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ბარქსის სახ. საქ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა ★ ბ ა თ ი ლ ი ს ი ★

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

		გვ.
1.	ბრძანება № 550—თერჯოლის, ორჯონიკიძის, სამტრედიის, ყვარლის და ჩოხატაურის რაიონებში მშობელთა მზრუნველობის გარეშე დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა მოწყობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ	3
2.	ბრძანება № 551—საბავშვო სახლებში 1956 წლის I კვარტალში ჩატარებული შემოწმების შედეგების შესახებ	5
3.	ბრძანება № 562—აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების განათლების განყოფილებებსა და ამავე რაიონების სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ	9
4.	Приказ № 656	16
5.	ბრძანება № 657—ქ. თბილისის ზოგიერთ სკოლაში უცხო ენების სწავლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ	21
6.	ბრძანება № 677—პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობის შესახებ	28
7.	ბრძანება № 712—ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლის გამოცდილების შესახებ	32
8.	ბრძანება № 732—კადრების მუშაობის დარგში ქ. თბილისის განათლების განყოფილების საქმიანობის შემოწმების შედეგების შესახებ	35
9.	ბრძანება № 731—ასაკგადაცილებულ მოსწავლეთა კლასების მუშაობის შესწავლის შედეგების შესახებ	43
10.	ინსტრუქცია—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების, სხვა სასწავლებლებისა და დაწესებულებების ბიბლიოთეკებიდან მოძველებული ლიტერატურის ამოღების შესახებ	46
11.	Инструкция о порядке из'ятия устаревшей литературы из библиотек школ и других учебних заведений и учреждений Министерства просвещения Грузинской ССР	53
12.	მითითებანი მუშა ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ	60
13.	ბრძანება № 1062—X სამეცნიერო-პედაგოგიური კონფერენციის შედეგების შესახებ	64

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
ტექრედაქტორი პ. გუნიავა

შეკვ. № 1405 ტირაჟი 5000.

გადაეცა წარმოებას 15/VII-56 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 13/IX-56 წ., ანაწყობის ზომა 6×9,5, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,5.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2. თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательства и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР, Тбилиси, ул. Пурцеладзе, № 5.

უფასო
18.8/414
ეროვნული
ბიბლიოთეკა